პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

№ 293 (5094) | ხუთშაბათი, 23 დეკემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში

სანიმუშოდ ჩავატაროთ პირუტყვის აღწერა (მოწინავე)
ამხანაგი ა. ი. მიქოიანი საქართველოში
ახალ წევრთა მიღება პარტიაში („პრავდის“ მოწინავე, მე-2 გვერდი)
სტახანოველების ახალი ვალდებულებანი (მე-2 გვ.)
შოთა რუსთაველი — წასვლა ავთანდილისა ფრიდონისას მულღაზანზარს რომ შეეყარა (მე-3 გვ.)
სერგი მაკალათია — საქართველოს ფეოდალური მონარქია რუსთაველის ეპოქაში (მე-3 გვ.)
საბჭოთა კავშირის მოწინავე ადამიანების აზრი შოთა რუსთაველის შესახებ (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
ტერუელი აღებულია რესპუბლიკელთა ჯარების მიერ (1-ლი გვ.)
საფრანგეთის კომპარტიის მორიგი ყრილობის წინ (1-ლი გვერდი)
ჩინეთის ამბები (1-ლი გვ.)

სანიმუშოდ ჩავატაროთ პირუტყვის აღწერა

არნახული ტემპებით ვითარდება საბჭოთა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა. სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების მტკიცედ განხორციელებით საქართველოს კოლმეურნეობანი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. წლევანდელ უხვ მოსავალში, როგორც სარკეში, ნათლად მოჩანს მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების უდიდესი ძალა.

აღმავლობას განიცდის სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგიც, როგორიცაა მეცხოველეობა. 1937 წლის 1 იანვრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა საქართველოში 478 ათასი სულით სჭარბობდა 1913 წლის დონეს.

სოციალისტური მეცხოველეობა ყოველწლიურად, ყოველთვიურად აღწევს ახალ წარმატებებს. მტკიცდებიან და ძლიერდებიან საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები. საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა— ეს არის სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების საფუძველი. ამჟამად საქართველოში სულ 2.774 საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმაა.

ისპობა კოლმეურნეთა უძროხობა. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში კოლმეურნეებს გადაეცა სულ 64.214 დეკეული. მათ შორის 6.454 დეკეული საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებიდან, ხოლო 32.894— კონტრაქტაციის წესით.

ეს ბრწყინვალე წარმატებანი ჩვენი სოფლის მეურნეობის და კერძოდ მეცხოველეობის დარგის სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგია. ეს გამარჯვება მიღწეულია კლასობრივ მტრებთან—ტროცკისტ-ბუხარინელებთან, მენშევიკ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტ მავნებლებთან და ჯაშუშებთან მკაცრ ბრძოლაში. ეპიზოოტიის ხელოვნურად გავრცელებით, მეცხოველეობის დარგში სავეტერინარო-სასანიტარო და საექიმო-პროფილაქტიკური მუშაობის ჩაშლით, ჯიშიანი პირუტყვის განადგურებით, მოზარდეულის მოსპობით და სხვა მავნებლობით ქართველი ხალხის სისხლით მოვაჭრენი, პირსისხლიანი ფაშიზმის მოსყიდული ჯაშუშები ცდილობდნენ მეცხოველეობისათვის ლახვარის ჩაცემას. მაგრამ მტერი გაკამტვერებულ იქნა სოფლის მეურნეობის ამ უბანზეც. სოციალისტური მეცხოველეობა მიიმართება წინ ახალ-ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

„კომუნისტის“ 11 დეკემბრის ნომერში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წ. 19 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება „1938 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით პირუტყვის აღწერის შესახებ“.

პირუტყვის საკავშირო აღწერას დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. აღწერამ უნდა მოგვცეს სრული სურათი მეცხოველეობის განვითარებისა მეორე ხუთწლედში, გამოარკვიოს, თუ როგორ სრულდება მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმები. აღწერამ უნდა მოგვცეს ძირითადი მასალები მეცხოველეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.

ყოველივე ეს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და პირველ რიგში სამიწათმოქმედო ორგანოებს აკისრებს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი აღწერის თავის დროზე და ზუსტად ჩატარებას.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაავალა იმ უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც მეცხოველეობის მეურნეობანი აქვთ, აღწერის დაწყებისათვის დაამთავრონ პირუტყვის ინვენტარიზაცია 1938 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით. ჩვენს ხელთ არსებული მასალა მოწმობს, რომ ბევრგან პირუტყვის ინვენტარიზაცია არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რაც საფრთხის წინაშე აყენებს აღწერის დროულად დაწყებას.

პირუტყვის აღწერის სანიმუშოდ წარსამართავად ბევრი რამ დამოკიდებულია საქ. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოზე. სამმართველოს ხელმძღვანელმა მუშაკებმა ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ.

პირუტყვის აღწერა საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ჩატარდება 1938 წლის 1 იანვრიდან 8 იანვრამდე.

აღწერის დაწყებამდე დარჩენილი დრო მთლიანად უნდა მოხმარდეს მოსამზადებელი მუშაობის გაშლას. საჭიროა კადრების გულმოდგინედ შერჩევა. საქმის წარმატებას სწყვეტს აღწერის კადრები. ამ სამუშაოზე უნდა გაიგზავნონ პოლიტიკურად სანდო და საქმიანობის მხრივ შემოწმებული ადამიანები. პირუტყვის აღწერის ჩამტარებელი პირები შემოწმებული და პერსონალურად დამტკიცებული უნდა იქნან რაიაღმასკომებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმების მიერ.

უაღრესად გულმოდგინე მუშაობას მოითხოვს პირუტყვის აღწერა საზამთრო საძოვრებზე. რაიაღმასკომებმა ამთავითვე უნდა შეარჩიონ შემოწმებული ბრიგადები, რომელთაც გული შესტკივათ მეცხოველეობის საქმისათვის.

არის სიგნალი, რომ ზოგან აღწერისათვის უსუსტად ემზადებიან. ასეთი მდგომარეობაა ლაგოდეხისა და წალკის რაიონებში. პირუტყვის აღწერისადმი უსულგულო დამოკიდებულება ძირშივე უნდა აღიკვეთოს.

სახელმწიფო და კოოპერატიული მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ვალდებული არიან აღმწერლებს მისცენ ზუსტი ცნობები, პირადად მათ მიერ შემოწმებული. საქ. სახკომსაბჭოს ზემოხსენებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ „პირუტყვის აღწერის არასწორად ჩატარებაში, აგრეთვე აღწერისათვის წინააღმდეგობის გაწევასა და პირუტყვის დამალვაში დამნაშავე პირები მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში“.

კორესპონდენტთა სიგნალები მოწმობენ, რომ ადგილებზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას. მოსახლეობა არასაკმაოდ არის ინფორმირებული აღწერის მნიშვნელობასა და ამოცანებზე. ეს შეუწყნარებელია. მოსახლეობას დაწვრილებით უნდა განემარტოს პირუტყვის აღწერის მნიშვნელობა. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ მეცხოველეობის დარგის მოწინავე ადამიანები. კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან უნდა მოეწყოს აქტივისტთა ჯგუფები, რომელნიც დაეხმარებიან პირუტყვის აღწერის სანიმუშოდ შესრულებაში. უდიდესი ამოცანები ამ მხრივ ეკისრებათ რაიონულ გაზეთებს, რომელთაც ფურცლებზე ფართოდ უნდა გაშუქდეს პირუტყვის საკავშირო აღწერის საკითხები.

პირუტყვის აღწერის წარმატებით ჩასატარებლად კარგად უნდა იქნან ინსტრუქტირებული აღმწერლები. ადამიანებს, რომელნიც მივლენ კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან პირუტყვის აღსაწერად — უპირველეს ყოვლისა კარგად უნდა ესმოდეთ, რისთვის ტარდება პირუტყვის აღწერა, და უნდა შეეძლოთ განუმარტონ მოსახლეობას აღწერის მნიშვნელობა და ამოცანები. ცუდად მომზადებულ რეგისტრატორს შეუძლიან შეცდომის დაშვება, რაც საქმეს ზიანს მოუტანს. მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის სულადობის ზუსტი აღწერა. რეგისტრატორმა უნდა აღწეროს ყველა მეურნეობა, რომელსაც პირუტყვი მოეპოვება. აღრიცხვის მუშაკთა შორის უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება აღწერის დროულად და ზუსტად ჩასატარებლად. ბევრგან უკვე ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველო და ადგილობრივი ხელმძღვანელები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების გაშლილ ინიციატივას.

ჯერ კიდევ არის დრო პირუტყვის აღწერის მზადებაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. პირუტყვის აღწერის თავის დროზე და ზუსტად ჩატარება მეცხოველეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებისა და საქ. სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ღირსების საქმეა.

ამოცანა ის არის, რომ სანიმუშოდ ჩავატაროთ პირუტყვის მომავალი საკავშირო აღწერა. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკების თავმჯდომარეები, აგრეთვე ყველა საქალაქო საბჭოს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეები პერსონალურად არიან პასუხისმგებელნი პირუტყვის აღწერის სწორად და ზუსტად ჩატარებისათვის. ნუ დავივიწყებთ, რომ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ხარისხოვნად ჩატარებაზე დიდად არის დამოკიდებული საქართველოს სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი განვითარების წარმატება.

მილიონები უსმენდნენ ბელადს

ამხანაგ სტალინის სიტყვის ტონფილმის ტრანსლაცია.

მოსკოვი, 22 დეკემბერი (საქდესი). საკავშირო რადიოკომიტეტის ბგერწერის ფაბრიკამ ტონფილმზე გადაიტანა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა, წარმოთქმული სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე დიდ თეატრში 1937 წ. 11 დეკემბერს. 21 დეკემბერს საღამოს მოხდა ტონფილმის ტრანსლაცია მთელ ჩვენს ქვეყანაში. მილიონობით მშრომელნი, ისმენდნენ რა ხალხის ბელადის სიტყვას, ხელახლა განიცდიდნენ უდიდეს აღტყინებასა და აღფრთოვანებას, როგორც იმ ისტორიულ დღეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების წინ, როდესაც დიდ თეატრში ყველა შეკრებილთა ერთიანი აღფრთოვანებით ცხადჰყვეს საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული თავისი დიდი ბელადისადმი.

ტრანსლაციის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა პ. მ. სადოვსკიმ წაიკითხა ნაწყვეტი ანრი ბარბიუსის წიგნიდან „სტალინი“.

საფრანგეთის კომპარტიის მორიგი ყრილობის წინ

პარიჟი, 21 დეკემბერი (საქდესი). 25 დეკემბერს არლში (ბუშდიურონის დეპარტამენტი) იხსნება საფრანგეთის კომპარტიის მორიგი ყრილობა. პარტიის წინა, მე-8, ყრილობა შესდგა 1936 წლის 22—25 იანვარს ვილერბანში (ლიონის გარეუბანი). ვილერბანის ყრილობამ დასახა კომპარტიის წინაშე ამოცანა: მიღწეულიყო ფრანგი ხალხის გაერთიანება მშრომელთა პურისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის საბრძოლველად. ყრილობამ დაავალა კომუნისტებს განემტკიცებინათ სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის ერთიანობა და დარაზმულობა.

ასრულებდნენ რა ამ ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომუნისტები ატარებდნენ საარჩევნო კამპანიას 1936 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ყველა ანტიფაშისტური და დემოკრატიული ძალის გაერთიანების ლოზუნგებით. ამ არჩევნებში პარტიამ მიიღო 1.502.404 ხმა, ნაცვლად 705.744 ხმისა, რომლებიც შეაგროვა პარტიამ 1932 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. 1936 წლის არჩევნებში გამარჯვების შედეგად კომპარტიის დეპუტატთა რიცხვი პარლამენტში გაიზარდა 10-დან 72-მდე. 1937 წლის აგვისტოში პარტიამ ახალი გამარჯვება მოიპოვა დამატებითი საპარლამენტო არჩევნების დროს სენ-დენიში, სადაც არჩეულ იქნა კომუნისტი დეპუტატი, ხოლო ფაშისტი დორიო, რომელიც ცდილობდა წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა, სამარცხვინოდ დამარცხდა. ამგვარად, ახლა საფრანგეთის პარლამენტის კომუნისტური ფრაქცია შესდგება 73 დეპუტატისაგან. სენატში კომუნისტებს ორი წარმომადგენელი ჰყავთ.

მე-8 ყრილობის შემდეგ კომპარტია დაუღალავად და შეუპოვრად იბრძოდა და იბრძვის მუშათა კლასის ერთიანობისათვის, პროლეტარიატის ერთიანი რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, მშრომელი მასების საარსებო დონის ამაღლებისათვის.

კომპარტია იბრძოდა და იბრძვის აგრეთვე ფრანგი გლეხობის საარსებო დონის ამაღლებისათვის, ამხილებს რა ფაშისტების პროვოკაციულ ცდებს, მიმართულს იმისკენ ჩამოაგდონ შუღლი ქალაქის მუშებსა და მიწის მუშაკებს შორის.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის ზრდას შეეფერება მისი რიცხობრივი შემადგენლობის ზრდა. თუ მე-8 ყრილობისათვის პარტია ითვლიდა 86.902 წევრს, ამჟამად იგი ითვლის 340.000-ზე მეტ კაცს.

საგარეო პოლიტიკის დარგში კომუნისტური პარტია იბრძოდა და იბრძვის ომის გამჩაღებელ ფაშისტთა ოინების წინააღმდეგ. საფრანგეთის კომპარტია, კერძოდ, დაუღალავად ამჟღავნებს ესპანეთის საქმეებში ეგრეთწოდებული „ჩაურევლობის“ პოლიტიკის მარცხს. იგი მოითხოვს, რომ ესპანეთის კანონიერ რესპუბლიკურ მთავრობას მიენიჭოს შესაძლებლობა, საზღვარგარეთიდან მიიღოს იარაღი და სამხედრო საჭურველი, რაც მას სჭირდება ფაშისტ მეამბოხეთა დასამარცხებლად.

მიმდინარე წელს ოქტომბერში მომხდარმა კანტონალურმა არჩევნებმა საფრანგეთში დაადასტურა საფრანგეთის კომპარტიის გავლენის ზრდა და ის, რომ საფრანგეთის მუშათა მასები იწონებენ იმ ბრძოლას, რომელსაც კომპარტია აწარმოებს სახალხო ანტიფაშისტური ფრონტის პროგრამის სრული განხორციელებისათვის. 2.367 კანტონში პარტიამ მიიღო 1.053.355 ხმა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 579 კანტონში პარტიას არ წამოუყენებია თავისი კანდიდატები, აგრეთვე რომ სენის დეპარტამენტზე კანტონალური არჩევნები არ გავრცელებულა, შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ პარტიამ არა თუ შეინარჩუნა მისი კანდიდატებისათვის 1936 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურში მიცემული ყველა ხმა, არამედ რამდენიმედ კიდეც გაადიდა ამ ხმების რიცხვი.

კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდის ერთერთ მაჩვენებელს წარმოადგენს პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ლუმანიტეს“ ტირაჟი. გაზეთის ყოველდღიური საშუალო ტირაჟი გადიდდა 217.850 ცალიდან 1935 წელს 425.605 ცალამდე მიმდინარე წელს, ხოლო უკანასკნელ დღეებში მან 1 მილიონს მიაღწია.

ჩინეთის ამბები

ჩინეთის ნაციონალური მთავრობის განცხადება

ხანკოუ, 21 დეკემბერი (საქდესი). ჩინეთის ნაციონალურმა მთავრობამ 20 დეკემბერს ჩუნცინში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„დაიპყრო რა ჩინეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი და ამოხოცა რა ურიცხვი ჩინელი მოქალაქე, იაპონიამ ახლა ბეიპინში დაიწყო უკანონო რეჟიმისა და თვითნებური „ჩინეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის“ შექმნა. ეს იმის განმეორებაა, რაც იაპონიამ ჩაიდინა მანჯურიაში, ჟეხესა და აღმოსავლეთ ხებეიში. ყველა ეს „მთავრობა“ უბრალო მარიონეტული მთავრობებია. ის პირნი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ასეთ „მთავრობებში“, სასტიკად უნდა დაისაჯონ ჩვენი ქვეყნის კანონების მიხედვით. ჰქმნის და მხარს უჭერს რა ასეთ ყალბ რეჟიმებს, იაპონია აშკარად არღვევს ჩინეთის სუვერენიტეტსა და მის ტერიტორიულსა და ადმინისტრატიულ მთლიანობას.

ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობა აცხადებს, რომ ყველა მოქმედება იაპონიის მიერ ბეიპინში შექმნილი ორგანიზაციისა, რომელიც თავის თავს უწოდებს „ჩინეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობას“ და მის მსგავს უკანონო ორგანიზაციათა მოქმედება განხილულ უნდა იქნას, როგორც ისეთი მოქმედება, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც ჩინეთის შიგნით, და არც საგარეო ურთიერთობაში, არც დე-ფაქტო და არც დე-იურე“.

მაო ძე-დუნი ჩინეთის მდგომარეობის შესახებ

ხანკოუ, 21 დეკემბერი (საქდესი). გაზეთ „დაგუნბაოში“ გამოქვეყნებულია გაზეთის კორესპონდენტის მეორე ინტერვიუ მაო ძე-დუნთან. მაო ძე-დუნმა განაცხადა:

„ჩვენ რომ დიდი ზარალი მოგვივიდა შანხაისა, ტაიუანისა და სხვა პუნქტების დაკარგვის შემდეგ, ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ჩვენი მარცხით კარგი გაკვეთილიც მივიღეთ. ეს გაკვეთილი უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ თუმცა წინააღმდეგობის ეს ომი რევოლუციური ომია, მაინც მისი რევოლუციური ხასიათი ჯერჯერობით სავსებით არ არის გამომჟღავნებული. თუმცა გეოგრაფიულად ომი უკვე საყოველთაო-ნაციონალურია, მაგრამ ის ძალები, რომლებიც მასში მონაწილეობას ღებულობენ, ჯერ კიდევ არ არიან საყოველთაო-ნაციონალური ძალები, უდიდეს ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ფრონტზე არ არიან მობილიზებული ჩვენი ყველა თანამემამულენი“.

„თუ,—სთქვა მაო ძე-დუნმა,—ჩვენ მოვახდენთ ჩვენი მოქალაქეების მობილიზაციას მთელს ჩვენს ქვეყანაში, არ გაგვიძნელდება იაპონელი აგრესორის განადგურება“.

ილაპარაკა რა ჩინეთის მერვე ნაციონალურ-რევოლუციური არმიის ოპერაციებზე, მაო ძე-დუნმა განაცხადა: „მიუხედავად ტაიუანის დაცემისა, მერვე არმიამ შეჰქმნა ბაზა პარტიზანული ომისათვის ხებეის, ჩახარის და შანსის პროვინციების საზღვრებზე, შანსის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის რაიონში და ჩახარის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში. ჩვენ გადავწყვიტეთ ვაწარმოოთ პარტიზანული ომი, იაპონიამ კიდეც რომ გადაყლაპოს მთელი შანსის პროვინცია. აგრესორი სამხრეთისაკენ რომ წამოვიდეს კიდეც, ჩვენ სამხრეთით კი არ დავიხევთ, არამედ წავიწევთ წინ ჩრდილოეთით, რათა ზურგიდან მივიტანოთ იერიში მტერზე. იან სი-შანმა და ვეი ლი-ხუანმა საქვეყნოდ აღგვითქვეს, რომ შანსიში სიკვდილი სჯობს, ვიდრე მისი მიტოვება. ჩვენ ამჟამად ვაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლიან, რათა გავაძლიეროთ ჩვენი ერთიანი ფრონტი, და იმავე დროს გულწრფელად ვუჭერთ მხარს გენერალისიმუს ჩან კაი-შის თვალსაზრისს წინააღმდეგობის გაწევის შესახებ იმ მიზნით, რომ მივაღწიოთ ჩინეთის ნაციონალურ განთავისუფლებას“.

ფაშისტური პრესა ჩინეთში იაპონიის აგრესიის პერსპექტივების შესახებ

რომი, 21 დეკემბერი (საქდესი). ფაშისტური პრესა აქტიურად იხილავს იაპონიის შემდგომი აგრესიის პერსპექტივებს ჩინეთში. გაზეთების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჰონკონგისაკენ იაპონელთა წინსვლის საკითხი. ფაშისტურ გაზეთებს აუცილებლად მიაჩნიათ, რომ უახლოეს მომავალში იაპონია დაჰკრავს ინგლისის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიციებს ჩინეთში. „ახლა,—აცხადებს გაზეთი “გაძეტა დელ პოპოლო“,—იაპონელებმა მიზანში ამოიღეს კანტონი და იმავდროულად თავს იყრიან ჰონკონგის გარშემო. იაპონელებს არ სჭირდებათ ამ ქალაქის დაპყრობა, რათა ძალუმად შეუტიონ ინგლისის ინტერესებს. საკმარისია მოსწყვიტონ ჰონკონგი ჩინეთის ტერიტორიას ისევე, როგორც ეს ჩაიდინეს პალესტინაში აჯანყებულმა არაბებმა ნავთსადენისა და ძირითადი სავაჭრო გზების მიმართ“.

ფაშისტური გაზეთები ცდილობენ დაარწმუნონ ინგლისი, რომ მას დიდი საშიშროება მოელის შორეულ აღმოსავლეთში, იმავე დროს ამტკიცებენ, რომ ლონდონი ვერ მოახერხებს ამერიკის შეერთებული შტატები უფრო გაბედული ანტიიაპონური პოლიტიკისაკენ გადახაროს.

გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ ინგლისი აძლიერებს თავის პოზიციებს შორეულ-აღმოსავლეთში, გზავნის იქ გემებს, თვითმფრინავებს, ჯარებს, მასალებს, და გამოსთქვამს პროვოკაციულ რწმენას იმაში, რომ იაპონიას ეს ზომები ვერ შეაჩერებს.

ბერლინში ფლანდენის გამგზავრების გარშემო

პარიჟი, 21 დეკემბერი (საქდესი). ფლანდენის გამგზავრებას ბერლინში პოლიტიკური წრეები უკავშირებენ საფრანგეთის რეაქციის გეგმებს მიაღწიონ შოტანის მთავრობის დამხობას, რომელიც სახალხო ფრონტის პარტიებს ეყრდნობა, და შეჰქმნან მემარჯვენე კაბინეტი. რეაქციას იმედი ჰქონდა, რომ ფლანდენის გამგზავრება ხელს შეუწყობდა ამ გეგმებს. მაგრამ გადმოგვცემენ, რომ ბერლინიდან ფლანდენი იმედგაცრუებული დაბრუნდა. მისი შეხვედრა ჰიტლერთან, რასაც აქ მოელოდნენ, არ მომხდარა. იმ გერმანელმა მოღვაწეებმა კი, რომლებსაც ფლანდენი ესაუბრა, განიმეორეს გერმანიის საყოველთაოდ ცნობილი პრეტენზიები: გერმანიის კოლონიების დაბრუნება აფრიკაში, გერმანიის ომამდელი საზღვრების აღდგენა ევროპაში, ნაციონალ-სოციალისტთა შეყვანა ავსტრიის მთავრობაში და პლებისციტის დანიშვნა ავსტრიაში, ავტონომიის მინიჭება სუდეტელი გერმანელებისათვის ჩეხოსლოვაკიაში, კოლექტიური უშიშროების სისტემაზე უარის თქმა, ორმხრივ შეთანხმებათა სისტემაზე გადასვლა და სხვ. ფლანდენს ვითომ და აგრეთვე აგრძნობინეს, რომ ჰიტლერის მთავრობის მოთხოვნები არ შემცირდება რაგინდ არქი-მემარჯვენე მთავრობაც უნდა შეიქნას საფრანგეთში და რომ გერმანიას არა აქვს განზრახვა დაუშვას რაიმე შუამავლობა ერთი მხრით—გერმანიასა და მეორე მხრით ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

უცხოეთის ქრონიკა

— იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ 17 დეკემბერს ნეაპოლიდან გემ „ტოქსაათი“ მასაუაში გაიგზავნა 2.200 შავხალათიანი.

— პალესტინაში პარტიზანული მოძრაობა თანდათანობით ფართოვდება. უკანასკნელი დღეების განმავლობაში დაპატიმრებულია 100-ზე მეტი არაბი.

— გაზეთ „ხუამეივანბაოს“ ცნობით კუნძულ ფორმოზის მოსახლეობაში ძლიერ იზრდება ომის საწინააღმდეგო განწყობილება. იაპონელ ხელისუფალთ 3 დივიზია გაგზავნეს კუნძულზე შესაძლებელ მღელვარებათა ჩასაქრობად.

— ოფიციალური სტატისტიკური ცნობების მიხედვით, შარშან გერმანიაში დაიხურა, სულ მცირე, 182 ათასი სახელოსნო, ხელოსანთა მდგომარეობა წელს უფრო გაუარესდა. მიმდინარე წლის მარტო პირველი კვარტალის განმავლობაში დაიხურა 40.968 სახელოსნო.

— მიუნხენში გაიმართა მორიგი პოლიტიკური პროცესი; გაასამართლეს 7 კაცი, რომელთაც ჰბრალდებათ არსებული ფაშისტური წყობილების დამხობის მზადებისათვის დახმარების გაწევა.

— 19 დეკემბერს ჩინეთის მთავრობის განკარგულებით ცინდაიოში (სანავსადგურო ქალაქი შანდუნის პროვინციაში) ააფეთქეს იაპონელთა ფაბრიკები და ქარხნები. აფეთქებას თან მოჰყვა ხანძარი, რომლითაც გამოწვეული ზარალი აღწევს უდიდეს თანხას — 100 მილიონამდე ამერიკულ დოლარს.

— გაზეთების ცნობით, პოლონეთის საპყრობილეებში პატიმართა რაოდენობა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 70 ათას კაცს შეადგენდა.

— საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივონ დელბოსი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში მოგზაურობდა, დაბრუნდა პარიზში.

— ფრანგმა მფრინავმა არნუმ სიმაღლეზე ფრენის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იგი მგზავრიანად 7 ათას მეტრზე აფრინდა ორადგილიანი მსუბუქი თვითმფრინავით „ფარმან 357“, რომელსაც აქვს რენო ბენგალის 140 ცხენძალიანი მოტორი.

ამხანაგი ა. ი. მიქოიანი საქართველოში

12 დეკემბერს თბილისში გაჩერდა ერევნიდან მოსკოვს მიმავალი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ამხანაგი **ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი.**

იმავე საღამოს ამხანაგი ა. ი. მიქოიანი ამხ-ბთან **ლ. პ. ბერიასთან,** საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. დეკანოზოვთან,** ტრესტ „საქართველოს ჩაის“ დირექტორ **მ. პ. ბაუმფელდთან** ერთად გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც ინახულა ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობა და ნატანების ჩაის ფაბრიკა, მახარაძის ჩაის ფაბრიკა, ჩაის და ციტრუსოვანთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ანასეულში, ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ოჩხამურის **სტალინის** სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ქობულეთის ჩაის ფაბრიკა, ჩაქვის **ლენინის** სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ჩაქვის ჩაის ფაბრიკა. შემდეგ დაწვრილებით დათვალიერებულ იქნა ბათუმის ბოტანიკური ბაღი და ბათუმის საქალაქო მეურნეობა.

ბათუმიდან ამხანაგები **ა. ი. მიქოიანი** და **ლ. პ. ბერია** გაემგზავრნენ ფოთში, სადაც 14 დეკემბერს მთელი დღე ამხანაგმა **ა. ი. მიქოიანმა** მოანდომა კოლხიდის დაბლობის ამოშრობისა და მდინარე რიონის ახალ კალაპოტში გადაგდების სამუშაოთა მიმდინარეობის გაცნობას. ამხანაგმა **ა. ი. მიქოიანმა** დაათვალიერა მთელი რიგი სანერგეები და გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობა და გაეცნო მუშათა უბნების მშენებლობას, აგრეთვე ციტრუსოვანთა ნარგავებს კოლხიდის ამოშრობილ მინდვრებზე.

დაათვალიერა რა საგზაო მშენებლობა და წყალსაგდები არხები, ამხანაგი **ა. ი. მიქოიანი** გაეცნო კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოთა მიმდინარეობას.

ფოთიდან ამხანაგები **ა. ი. მიქოიანი** და **ლ. პ. ბერია** ახლად გაყვანილი გზით გაემგზავრნენ ზუგდიდის რაიონში, სადაც ინახულეს ზუგდიდის ჩაის ფაბრიკა, ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ხოლო შემდეგ გაემგზავრნენ აფხაზეთის ასსრ-ში. აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და აჩიგვარის ჩაის ფაბრიკის დათვალიერების შემდეგ ამხანაგები **ა. ი. მიქოიანი** და **ლ. პ. ბერია** გაემგზავრნენ სოხუმში, 15 დეკემბერს გაეცნენ ჩაის და ციტრუსოვანთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის მუშაობას, ინახულეს ამ ინსტიტუტის საცდელი ნაკვეთები, ხოლო შემდეგ გაემგზავრნენ გაგრაში, სადაც დაწვრილებით დაათვალიერეს ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ახლად აგებული და ამასწინათ საექსპლოატაციოდ გადაცემული დასასვენებელი სახლი. ამხანაგებმა **ა. ი. მიქოიანმა** და **ლ. პ. ბერიამ** დაათვალიერეს აგრეთვე გერანის საბჭოთა მეურნეობა „III ინტერნაციონალი“.

დასავლეთ საქართველოს ბევრ საბჭოთა მეურნეობასა და ჩაის ფაბრიკაში ამხანაგი **ა. ი. მიქოიანი** ათვალიერებდა მუშათა საცხოვრებლებს და ესაუბრებოდა მუშებს. მას ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ. ჩაის მძლავრმა ფაბრიკებმა, ჩაის და ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობებმა ამხანაგ **ა. ი. მიქოიანზე** საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს.

15 დეკემბერს ამხანაგები **ა. ი. მიქოიანი** და **ლ. პ. ბერია** გაგრიდან გაემგზავრნენ სოჭში, სადაც დაათვალიერეს სოჭის საკონსერვო ქარხანა. იმავე საღამოს ამხანაგი **ა. ი. მიქოიანი** მოსკოვში გაემგზავრა.

◆

რესპუბლიკელთა დიდი გამარჯვება

ტერუელი აღებულია რესპუბლიკელთა ჯარების მიერ

ლონდონი, 21 დეკემბერი (საქდესი). („პრავდის“ კორესპონდენტი). რეიტერის სააგენტო ბარსელონიდან იუწყება, რომ იქ ოფიციალურად გამოაცხადეს რესპუბლიკური ჯარების მიერ ტერუელის აღების შესახებ. მეამბოხეებმა სამჯერ სცადეს კონტრიერიშზე გადასვლა, მაგრამ ისინი უკუაქციეს და დიდი ზარალი მიაყენეს. („პრავდა“)

ესპანეთის ფრონტებზე

(საქდესის მიერ პარიზიდან და ბარსელონიდან მიღებული ცნობებით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

რესპუბლიკური მთავრობის თავდაცვის მინისტრმა პრიეტომ 21 დეკემბერს საღამოს მინისტრთა საბჭოს სხდომის წინ ოფიციალურად აცნობა ჟურნალისტებს რესპუბლიკის ჯარების მიერ ტერუელის აღება.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობის თანახმად, 20 დეკემბერს საღამოს, რესპუბლიკელთა ჯარმა დაიკავა ვილიაესპესი, სადაც იყო მეამბოხეთა რამდენიმე ბუდე, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ რესპუბლიკელებს და აძნელებდნენ ტერუელის სამხრეთით მოქმედ რესპუბლიკურ ჯართან დაკავშირებას. ვილიაესპესში რესპუბლიკელთა ჯარებმა ხელთ იგდეს ხუთი ტყვიამფრქვევი, 150-დე შაშხანა და დიდძალი სამხედრო საჭურველი. ამავე დროს რესპუბლიკელთა ჯარები აკავებდნენ გარემოცვის გარე ხაზზე მეამბოხეთა ნაწილებს, რომლებიც ცდილობდნენ დახმარება გაეწიათ ტერუელის მეამბოხეთა გარნიზონისათვის. 21 დეკემბერს დილით რესპუბლიკელთა ჯარებმა გააძლიერეს შეტევა ტერუელზე. უტევდნენ რა ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან, რესპუბლიკელებმა დაიკავეს რამდენიმე შენობა, წინ წაიწიეს რკინიგზის ხიდამდე და მთლიანად დაიკავეს სასაფლაო. რესპუბლიკელთა ჯარის იერიში ვილიასტარიდან მიმავალი გზის გასწვრივ, მდინარე ტურიის დასავლეთით, წინანდელი სიძლიერით გრძელდებოდა. ამ მდინარის აღმოსავლეთით რესპუბლიკელთა ჯარებმა იწყეს ტერუელის მიდამოებში შეჭრა.

ჰავასის ცნობით, ტერუელზე რესპუბლიკელთა ჯარების შეტევის მეექვსე დღის განმავლობაში რკალი ქალაქის ირგვლივ კიდევ უფრო შევიწროვდა. რესპუბლიკელების მიერ რამდენიმე სტრატეგიული პოზიციის დაკავებამ საშუალება მისცა მათ განეხორციელებინათ კავშირი იმ ნაწილებთან, რომელთაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული ქალაქისათვის.

მსუბუქი ტანკების გამოყენებამ შესაძლებლობა მისცა რესპუბლიკელებს მოესპოთ მეამბოხეთა ბუდეები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. ქალაქის ბომბარდირების შედეგად დანგრეულია სამხედრო ობიექტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ბომბარდირებით დაზიანდა რადიოსადგური, რომელიც აღარ უპასუხებდა სარაგოსისა და ლოგრონიოს ძახილზე. სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი ქალაქთან შეწყვეტილი იყო და ტერუელი იზოლირებული იყო მეამბოხეების მიერ დაკავებული დანარჩენი ტერიტორიისაგან.

ტერუელზე შეტევის მეექვსე დღე აღინიშნა მეამბოხეთა კონტრიერიშებით დასავლეთ სექტორის სამ პუნქტში. ერთი კონტრიერიში მიიტანა მეამბოხეთა ჯარების ჯგუფმა, რომელიც ცდილობდა ზურგიდან შემოევლო რესპუბლიკელთა ჯარებისათვის. მეორე კონტრიერიში მეამბოხეებმა მიიტანეს სარაგოსა—ტერუელის გზის და მისი მეზობელი სოფლების—კამპილიოსა და სან ბლასის გასწვრივ, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ დაიკავეს რესპუბლიკელთა ჯარებმა. მეამბოხეთა ყოველ კონტრიერიშს წინ უსწრებდა გაძლიერებული საარტილერიო მომზადება. მეამბოხეები ცდილობდნენ გაერღვიათ რკალი ტერუელის ირგვლივ, რათა დახმარებოდნენ ქალაქში მყოფ მეამბოხეთა გარნიზონს. რესპუბლიკელთა კავალერიის გამოჩენამ სოფ. კამპილიოსა და სან ბლასის რაიონში, სადაც ბრძოლას განსაკუთრებით გაფთრებული ხასიათი ჰქონდა, დაბნეულობა და პანიკა შეიტანა მეამბოხეთა რიგებში. რესპუბლიკელთა არტილერია და ავიაცია, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკელთა ჯარების ოპერაციებში, ხელს უშლიდნენ მეამბოხეთა ჯარების გადაჯგუფებას.

მეამბოხეთა დანაკლისი 20 დეკემბრის დღის დამლევს ყველა მათი მოქმედი ნაწილის 40 პროცენტს აღწევდა. რესპუბლიკელთა ჯარების ხაზები უცვლელი დარჩა. გაშმაგებული ცდის მიუხედავად მეამბოხეებმა ტერუელის ირგვლივ რკალი ვერ გაარღვიეს, და 21 დეკემბერს საღამოს რესპუბლიკელთა ჯარებმა ქალაქი აიღეს.

კასტელიარის რაიონში რესპუბლიკელებმა ტყვედ წაიყვანეს 200 კაცი და ხელთ იგდეს 10 ქვემეხი. ამ რაიონში რესპუბლიკელებმა დაიკავეს 100 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. კასტრალვოს რაიონში რესპუბლიკელებმა ტყვედ წაიყვანეს 100 კაცი.

„ჩრდილოეთის პოლუსის“ სადგურზე

21 დეკემბერს დღის 1 საათზე მოდრეიფე სადგური „ჩრდილოეთის პოლუსი“ იმყოფებოდა ჩრდილოეთის განედის 81 გრადუსსა და 44 წუთზე და დასავლეთის გრძედის 6 გრადუსსა და 37 წუთზე.

სადგურის რაიონში — მთლიანი ღრუბლიანობაა, ძლიერი ძირაქარი, ჰქრის ხუთბალიანი ქარი, ტემპერატურა—მინუს 24 გრადუსი. (საქდესი).

მესამე სტალინურ ხუთწლედის პირველ წელს სტახანოველები ახალი ვალდებულებებით ხვდებიან

სოცშეჯიბრების ახალი ძალა

მავნებლობის შედეგების სწრაფი ლიკვიდაცია, ტრამვაისა და ტროლეიბუსების შეუფერხებელი მოძრაობა, მგზავრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, თვითღირებულების შემცირება, სტალინური დეკადის განმავლობაში მოპოვებული წარმატებების ბოლომდე შენარჩუნება, შემტევი რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერება—აი, რა საბრძოლო ლოზუნგით ჩაიარა თბილისის ტრამვაის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხოვანმა მიტინგებმა, მიძღვნილმა ქალ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველთა მიმართვის განხილვისადმი.

ეს მიმართვა გუშინ დამუშავდა ქალაქის რკინიგზების ტრესტის სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა გაერთიანებულ მიტინგზე, რომელსაც ოთხასამდე კაცი დაესწრო. მიტინგის მონაწილენი დიდი ინტერესით ისმენდნენ გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარის ამხ. მ. ხაბაზაშვილისა და ივ. კასრაძის სიტყვებს, რომლებმაც მათ გააცნეს და წაუკითხეს ქალ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველთა მიმართვა.

ლაპარაკობს ამწყობი საამქროს უფროსი ამხ. ნ. რადიშჩი. იგი თავისი საამქროს სტახანოველ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სახელით იღებს ვალდებულებას მტკიცედ დაიცვას რემონტის გრაფიკი, გააუმჯობესოს ხარისხი და პირველ იანვრამდე გეგმის ზევით ფართო ლიანდაგისათვის გადააკეთოს ტრამვაის ხუთი ვაგონი.

სამსხმელო საამქროს სტახანოველმა მუშამ, ამხ. მ. სოსიანმა იკისრა იანვრის გეგმა შეასრულოს 150 პროცენტით და მთლიანად მოსპოს წუნი.

სალუზე საამქროს მუშების სახელით მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ინჟინერი ზ. წივილაშვილი.

— მოსკოველების მიმართვამ,—სთქვა მან,—ჩვენს საამქროში ახალი საწარმოო ენტუზიაზმი გამოიწვია. მუშები ახლა ყოველდღიურად ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას და გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს კიდევ უფრო გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, სავსებით მოვსპოთ წუნი, უფრო მომჭირნეობით ვხარჯოთ მასალები, მოვაწყოთ რაციონალურ წინადადებათა შეგროვება და მათი განხორციელება, რომ ამით ჩვენმა საამქრომ უზრუნველჰყოს იანვარში 8 ცალი კომუტატორისა და წლიური და ნახევარწლიური შეკეთებისათვის 14 ძრავის გამოშვება.

მექანიკური საამქროს მუშებმა იკისრეს ძირითად საწარმოო დავალებებთან ერთად სწრაფად და ხარისხოვნად შეასრულონ რიგგარეშე დაკვეთები, რეზერვში იქონიონ პირველ მოთხოვნილების ნაწილები და ამით ხელი შეუწყონ ტრამვაის დაზიანებული ვაგონების რემონტიდან სწრაფად გამოშვებას.

— სალიანდაგო დარგმა,—სთქვა სალიანდაგო დარგის უფროსმა ამხ. კ. მეგრელიშვილმა,—წინასაარჩევნო სტალინური დეკადის გეგმა ორმაგად შეასრულა. ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას იანვრის გეგმას გადავაჭარბოთ 40 პროცენტით, მთელი 1938 წლის განმავლობაში ვიმუშაოთ უავარიოდ.

ტრამვაის სახელოსნოების საწარმოო განყოფილებამ იკისრა ვალდებულება—1 იანვრამდე სადურგლო საამქროში დაამთავროს მტვრის შემსრუტავ მოწყობილობათა დადგმა, ახალი სამეურნეო წლიდან სალუზე საამქროში შემოიღოს ტექნოლოგიური ბარათების წარმოება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

გუშინ მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგები შესდგა აგრეთვე თბილისის ქალაქის რკინიგზის მოძრაობის დარგსა და ტროლეიბუსების პარკში.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში თბილისის ტრამვაელები ქალ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველთა მიმართვის საპასუხოდ კისრულობენ ვალდებულებებს გადაჭარბებით შეასრულონ მიმდინარე წლის გეგმები და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ მესამე ხუთწლედის პირველ წელს.

თბილისის ტრამვაის მეურნეობაში ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შემსრულებელთა დასაჯილდოვებლად დააწესეს გარდამავალი დროშა. ცალკეული დარგები, ცვლები, საამქროები და ბრიგადები უკვე ჩაებნენ ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ამ გარდამავალი დროშის მისაღებად.

რკინიგზელები ემზადებიან სტალინური მესამე ხუთწლედის პირველი წლის შესახვედრად

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველთა და რკინიგზის ტრანსპორტის კრივონოსელთა მიმართვამ აღფრთოვანებული გამოხმაურება გამოიწვია თბილისის კვანძის რკინიგზელებში.

სტალინის სახელობის ქარხნის ორთქლმავალ - ვაგონ სარემონტო ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა ფართოდ განიხილეს მოსკოვის სტახანოველთა წინადადება და ერთსულოვნად გადასწყვიტეს ჩაებან სტახანოვური რეკორდების სტალინურ ერთთვიურში.

მთელ ქარხანაში ემზადებიან ერთთვიურისათვის. მუშები არკვევენ წარმოების დეფექტებს, იმუშავებენ ტექნიკურსა და ორგანიზაციულ ღონისძიებებს ერთთვიურის წარმატების უზრუნველსაყოფად, სწავლობენ სტალინური დეკადის გამოცდილებას, რათა გადაიტანონ იგი სტახანოვური რეკორდების სტალინურ ერთთვიურზე. ქარხნის მუშები ემზადებიან იმისათვის, რომ სტახანოვური რეკორდებით შეხვდნენ სტალინური მესამე ხუთწლედის პირველ წელს.

სატენდერე საამქროში ამხ. დაშნიევის, სამხარაძისა და მკრტიჩიანის საკომპლექსო ბრიგადებმა იკისრეს ვალდებულება გამოუშვან რემონტიდან დეკემბერში 38 ტენდერი, ნაცვლად 36 ტენდერისა გადიდებული გეგმით. მჭედელთა საამქროში ამხ. გუგულაშვილის მჭედელთა ბრიგადა, რომელმაც შესანიშნავი სტახანოვური რეკორდებით აღნიშნა სტალინური დეკადა, იკისრა ვალდებულება მიაღწიოს სრულიად-საკავშირო რეკორდს, რომელიც შარშან დაამყარა ამხ. ჭიჭინაძემ. ბრიგადამ იკისრა უახლოეს დროში გამოსჭედოს 7 საათის განმავლობაში ორთქლმავლის 14 ხელნა. რეკორდებისათვის ემზადებიან მჭედლები ჟავარენკო, ამბარცუმიანი, კულიშევი და მრავალი სხვანი. საბრძოლო ვალდებულებანი იკისრეს ქარხნის საუკეთესო სტახანოველებმა, ორდენოსანმა მექვაბემ ამხ. გეწაძემ, ამწყობმა ამხ. დევსურაშვილმა, ამწევმა ამხ. დათუაშვილმა და მრავალმა სხვამ. ათობით ვალდებულება აქვთ ნაკისრი საქონლის ვაგონისა, ელექტრონისა და მესპილენძეთა საამქროების მუშებს.

— კომუნისტებისა და უპარტიოების ბრწყინვალე გამარჯვებამ არჩევნებში, სტახანოვური რეკორდების სტალინურმა დეკადამ არნახული საწარმოო აღფრთოვანება გამოიწვია ქარხანაში. ქარხანამ გადასწყვიტა ღირსეულად შეხვდეს სტალინური მესამე ხუთწლედის პირველ წელს. ქარხნის დირექტორმა ამხ. ჭიჭინაძემ განაცხადა: „ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება შევაკეთოთ დეკემბერში 35 ორთქლმავალი. ამ ვალდებულებას ქარხანა შეასრულებს.

ფართო გამოხმაურება ჰპოვა მოსკოვის სტახანოველთა მიმართვამ თბილისის საორთქლმავლო დეპოშიც: მემანქანეები, მუშები კისრულობენ ვალდებულებას ღირსეულად შეხვდნენ მესამე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს. სახარატო საამქროს ამხ. მაკარაშვილის სტახანოველთა ბრიგადამ და იმავე საამქროს ამხ. სილივანოვის კომკავშირელთა ბრიგადამ გადასწყვიტეს თვის დამლევამდე მოახარატონ 14 ორთქლმავალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ორთქლმავლისა.

იანვარი სტახანოვური რეკორდების სტალინური თვეა

კალინინის სახელობის ქარხანაში შესდგა სტახანოველების, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მიტინგი, რომელზედაც განხილულ იქნა მოსკოვის სტახანოველთა მიმართვა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებისადმი. სტახანოველები და მუშები დიდი ინტერესით უსმენდნენ ქარხნის დირექტორს ამხ. რ. სარქისოვს, რომელმაც სთქვა: მეოთხე კვარტალში სტახანოველებმა საგრძნობლად წასწიეს წინ გეგმის შესრულება. წინასაარჩევნო შეჯიბრებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი.

კრებაზე მექანიკური საამქროს ოსტატმა არუთინ ოვანოვმა განაცხადა:

— მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველები მოგვიწოდებენ გადავაქციოთ 1938 წელი სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ახალი მძლავრი აღმავლობის წლად. ჩვენ უნდა მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მაჩვენებლებს. ამიტომ საამქროებს შორის უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება. პირადად მე ვკისრულობ გეგმის 250 პროცენტით შესრულებას.

— ხალხის მტრებმა, რომლებიც ჩვენს ქარხანაში იყვნენ მოკალათებულნი, ცოტა ზიანი როდი მოგვაყენეს, მაგრამ ჩვენ მათ ვუპასუხეთ შრომის ნაყოფიერების ამაღლებით და გეგმის შესრულებით. ამ მიღწევებთან ერთად ჩვენ უნდა გავაძლიეროთ რევოლუციური ბოლშევიკური სიფხიზლე, — განაცხადა საიარაღო საამქროს სტახანოველმა ამხ. კამარაულმა.

მოსკოველთა მიმართვის საპასუხოდ მრავალმა სტახანოველმა იკისრა გეგმის 200—300 პროცენტით შესრულება. კრებამ ერთხმად დაადგინა — დეკემბრის მესამე ათდღიური სტახანოვურ დეკადად გამოაცხადოს. ამ დეკადაში ქარხანამ გეგმა 120 პროცენტით უნდა შეასრულოს. ასეთია ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ერთსულოვანი ვალდებულება. გარდა ამისა, 1938 წლის იანვარი გამოაცხადეს სტახანოვურ თვედ და ამ თვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად უკვე დაიწყეს მანქანა-იარაღებისა და მასალების მომზადება.

ქარხნის საამქროებში და ბრიგადებში გულდასმით იხილავენ მოსკოველთა მიმართვას. საამქროებმა ერთმანეთი შეჯიბრებაში გამოიწვიეს.

გეგმები ვადამდე შეასრულეს

აგარის შაქრის ქარხანა

უზენაესი საბჭოს არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით აგარის შაქრის ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა მტკიცედ გადასწყვიტეს ვადამდე შესრულებინათ პროდუქციის გამომუშავების წლიური გეგმა.

აგარელ სტახანოველთა სიტყვა და საქმე ერთია. უკვე 20 დეკემბრისათვის ქარხანამ დაამზადა 252.400 ცენტნერი შაქარი—გეგმის სრული 100 პროცენტი.

გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლები. საგრძნობლად გადიდდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა თვითღირებულება და დანაკარგები.

ქარხნის სტახანოველი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები არწმუნებენ პარტიას და მთავრობას, რომ ისინი კიდევ უფრო გაადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, გაშლიან სტახანოვურ მოძრაობას და შეამცირებენ დანაკარგებს.

ქუთაისის კონსერვის ქარხანა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ქუთაისის კონსერვის ქარხნის მუშათა კოლექტივმა 20 დეკემბრისათვის წლიური პროგრამა 103,8 პროცენტით შეასრულა.

განცხადებათა მოზღვავება საქ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობებად და კანდიდატებად მიღების შესახებ

მურმანსკი, 21 დეკემბერი (საკდესი). უკანასკნელ დღეებში მურმანსკის ოლქის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში უამრავი განცხადება შემოდის საკ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობებად და კანდიდატებად მიღების შესახებ. ბევრი განცხადება შემოაქვთ საარჩევნო კამპანიის აქტივისტებს—საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და წევრებს, რწმუნებულ პირებს, რომლებიც კომუნისტებთან ერთად ეწეოდნენ მზადებას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის.

პოლარული რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში არჩევნების დღის შემდეგ შემოვიდა 14 განცხადება, მონჩეგორსკის პარტორგანიზაციაში—20-ზე მეტი განცხადება საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატებად და თანამგრძნობებად მიღების შესახებ.

ამხ. ვ. ს. გრიზოდუბოვას და ე. ა. სლობოძენკოს დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა საავიაციო ტექნიკის საუცხოოდ დაუფლებისათვის დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ორდენებით:

წითელი ვარსკვლავის ორდენით— ვალენტინა სტეფანეს-ასული გრიზოდუბოვა—მ. გორკის სახელობის აგიტესკადრილიის პილოტი;

„საპატიო ნიშნის" ორდენით— ეკატერინე ათანასეს-ასული სლობოძენკო—მ. გორკის სახელობის აგიტესკადრილიის ბორტ-მექანიკოსი.

ბოლშევიკი მწერლის ნ. ა. ოსტროვსკის ხსოვნას

ლენინგრადი, 21 დეკემბერი (საკდესი). ლენინის ქალაქის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ახალგაზრდობის საყვარელი მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის გარდაცვალების წლისთავს. 22 დეკემბერს მწერალთა სახლში შესდგება ნიკოლოზ ოსტროვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. მწერლები და კრიტიკოსები გამოვლენ თავიანთი მოგონებებით ბოლშევიკი მწერლის შესახებ.

თეატრი რადლოვის ხელმძღვანელობით მწერლის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად მე-123-ედ უჩვენებს წარმოდგენას „როგორ იწრთობოდა ფოლადი". ვიბორგის, ვოლოდარსკის და მაქსიმ გორკის სახელობის კულტურის სახლებში გაიმართება ნიკოლოზ ოსტროვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები.

ქრონიკა

იმასთან დაკავშირებით, რომ ა. წ. 31 დეკემბერს თავდება 1928 წლის თევზჭერის კონვენციის მოქმედების ვადა და იმის გამო, რომ 1935 წელს დაწყებულ მოლაპარაკებას ახალი კონვენციის დადების შესახებ შეთანხმება არ მოჰყვა, იაპონიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას მიმართა თხოვნით 1928 წლის თევზჭერის კონვენციის მოქმედება გააგრძელოს 1938 წელში.

საბჭოთა მთავრობამ თანხმობა განაცხადა ამაზე. (საკდესი).

* * *

სსრ კავშირის ცაკმა ამხ. ბ. ლ. ვანიკოვი დაამტკიცა თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საკდესი).

მეტი ზრუნვა პარტიის რიგების ზრდისათვის

(თბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხანაში)

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ უმნიშვნელოვანეს, სერიოზულ რეზერვს საკ. კ.პ. (ბ) რიგების შევსებაში წარმოადგენენ თანამგრძნობნი და კომკავშირელნი.

ამიტომ, როდესაც პარტიული ორგანიზაციის დღის წესრიგში პარტიის რიგების ზრდის საკითხი დგას, საჭიროა პირველ რიგში განვიხილოთ როგორ მუშაობს პარტორგანიზაცია თანამგრძნობთა ჯგუფთან, კომკავშირთან და უპარტიოებთან. გააუმჯობესა თუ არა მან პარტიულ - აღმზრდელობითი მუშაობა თანამგრძნობთა ჯგუფში, კომკავშირში? რამდენად იზრდებიან თანამგრძნობთა ჯგუფები და კომკავშირი? მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხანა, სადაც 665 პარტწევრ-კანდიდატია, 4500 მეტი მუშაა, ათასამდე სტახანოველია, თანამგრძნობთა ჯგუფში კი მხოლოდ 120 კაცი ითვლება.

სამგზავრო ვაგონების შემკეთებელი საამქროს პარტორგანიზაციას უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში არცერთი კაცი არ მიუღია თანამგრძნობთა ჯგუფში, არც ერთი თანამგრძნობი არ მიუღია საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. პარტორგს ამხ. პ. ვოიჩაკს ამ საკითხზე ჯერ არც კი უფიქრია. ასეთივე მდგომარეობაა ყველაზე უფრო დიდ და წამყვან საამწყობო საამქროშიც. სხვა საამქროებთან შედარებით პარტორგანიზაცია აქ მრავალრიცხოვანია, მუშებისა და სტახანოველების რიცხვიც მეტია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სამ თვეში საამწყობო საამქროს პარტორგანიზაციას (პარტორგი გრ. იოშკევი) ერთი კაციც არ მიუღია თანამგრძნობთა ჯგუფში, საკ. კ. პ. (ბ) რიგებში არ მიუღია არცერთი თანამგრძნობი და კომკავშირელი. სამჭედლო საამქრო, სადაც 74 პარტწევრ-კანდიდატი, 250 მეტი მუშა და მრავალი სტახანოველია, თანამგრძნობთა ჯგუფი და პარტიული ორგანიზაცია ამ ორ თვეში სრულებით არ გაზრდილან თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ პარტორგანიზაციამ ამ ერთი თვის წინათ პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ვ. მერკელი მიიღო პარტიის წევრად.

— ჩემი ბრალი არ არის, მე ახალი კაცი ვარ,—თავს იმართლებს სამჭედლო საამქროს პარტორგი ამხ. ხ. ხუბულური,—ეს ორი თვე მეტად დატვირთული ვიყავით და პარტიაში მიღებისათვის ვერ მოვიცალეთ.

უკვე მესამე თვეა სამჭედლო საამქროს პარტორგის უჯრაში დევს თანამგრძნობების ამხ. ქ. ილურიძისა და ვ. ფხაკაძის განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ, რომლებიც ამხ. ხუბულურს „დიდი დატვირთვის" გამო ჯერაც არ გაურჩევია პარტორგანიზაციის კრებაზე.

ირკვევა, რომ ამხანაგებს განცხადება 6 თვის წინათაც ჰქონიათ შეტანილი, პარტორგანიზაციასაც გაურჩევია, მაგრამ პარტკომის ყოფილ მდივანს რატომღაც შეუჩერებია და საუკეთესო სტახანოველი აქტივისტი მუშებისათვის, პასუხიც კი არ მიუციათ, თუ რატომ არ იღებენ მათ პარტიაში.

-- არც კომკავშირელები მიგვიღია პარტიის რიგებში ამ ორი თვის განმავლობაში, — ამბობს ხუბულური. მას აქაც „დიდი დატვირთვა" მოჰყავს საპატიო მიზეზად.

ზემოჩამოთვლილ საამქროებში პარტორგანიზატორები თანამგრძნობთა შორის მუშაობას უმთავრესად განსაზღვრავენ მათი პოლიტწრეებში ჩაბმით. თუ თანამგრძნობი ჩაბმულია პოლიტწრეში, სისტემატიურად ესწრება მეცადინეობას, იცის პარტიის წესდება, — მეტს მისგან არაფერს მოითხოვენ.

ადამიანი ორგანიზაციულ ჩვევებსა და დისციპლინას იძენს პრაქტიკულ მუშაობაში. თანამგრძნობებს უნდა ეძლეოდეთ კონკრეტული დავალებები, ისინი ფართოდ უნდა იყვნენ ჩაბმულნი პარტიულ მუშაობაში, უნდა იწრთობოდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხანაში არიან ისეთი პარტორგებიც, რომელთაც კარგათ აქვთ შეგნებული თანამგრძნობთა ჯგუფის მნიშვნელობა. ისინი თავდადებით ზრუნავენ პარტიის ამ უმნიშვნელოვანესი რეზერვის ბოლშევიკურად აღზრდისათვის. საიარაღო საამქროში (პარტორგი კუპრავა) ამ ორი თვის განმავლობაში პარტიის რიგებში მიიღეს 2 თანამგრძნობი და ორი კომკავშირელი.

სამექანიკო საამქროში (პარტორგი კონსტ. ტიმოფეევი) ამასწინათ საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატებად მიიღეს გრ. ცხვარაძე და იოსებ ასაევი.

ვინ არის გრ. ცხვარაძე? იგი საუკეთესო სტახანოველი, მოწინავე კომკავშირელი, კარგი აგიტატორია. იგი გულმოდგინედ ზრუნავს საკუთარი იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, გამოწრთვილი აქვს როგორც პოლიტიკური, ისე მხატვრული ლიტერატურა. ასევე ითქმის იოსებ ასაევზე, რომელმაც თავისი მუშაობით დაუმტკიცა კომკავშირსა და პარტორგანიზაციას, რომ ღირსია პარტიის რიგებში მიღებისა.

საიარაღო საამქროში პარტიის კანდიდატად მიიღეს საუკეთესო სტახანოველი პავლე გელაშვილი. გელაშვილი მოწინავე სტახანოველია, ახალგაზრდებს შორის სტახანოვური მოძრაობის ორგანიზატორი თავის საამქროში. ის იჩენს უნარს კომკავშირულ დავალებათა კარგად შესრულებაში. ერთი სიტყვით, ინიციატივიანი ადამიანია, მაგრამ ისმება საკითხი — შეიძლება თუ არა პარტიაში მიღების დროს დავკმაყოფილდეთ ზემომოყვანილ „მაჩვენებლებით"? მაგალითად, შეიძლებოდა თუ არა საიარაღო საამქროს პარტორგანიზაციას ამხ. გელაშვილი ასეთი დახასიათების შემდეგ „უსიტყვოდ" მიეღო პარტიაში?

რასაკვირველია, ასე არ უნდა ხდებოდეს, და არც მომხდარა. ამხ. გელაშვილს პარტიაში მიღებისას კომუნისტებმა მაღალი მოთხოვნები წაუყენეს, პარტიულ კრებაზე განსაკუთრებული გულისხმიერებით შეამოწმეს პარტიაში მისაღების კანდიდატურა პოლიტიკური და საქმიანი ნიშნის მიხედვით და მხოლოდ შემდეგ გამოიტანეს დასკვნა ამხ. გელაშვილის პარტიაში მიღების შესახებ.

რა აფერხებს ამ საამქროებში პარტიის ზრდის საქმეს?

აქ ხშირია რეკომენდაციის მიცემის გაჭიანურება. როდესაც თანამგრძნობი ან კომკავშირელი მიდა ამათუიმ კომუნისტთან და სთხოვს რეკომენდაციას, მიუხედავად იმისა, რომ ეს კომუნისტი მას კარგად იცნობს მაინც ცდილობს თავი „დაიზღვიოს" და რეკომენდაციის მიცემას ზოგჯერ თვეობით აჭიანურებს, ეუბნება „შემდეგ მოდი, ახლა არ მცალია". ასეთ რეკომენდატორებს პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა მიუთითოს, მოაგონოს მათი მოვალეობა პარტიის ზრდის საქმეში.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ-სარემონტო ქარხნის ზოგიერთ საამქროში სრულიად არ ზრუნავენ პარტიის რიგების ზრდისათვის. ზოგან მართალია, ცოტა რამ გაუკეთებიათ ამ მხრივ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. როგორც საამქროს პარტიულმა ორგანიზაციებმა, ისე ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ მუშაობა პარტიის სერიოზულ რეზერვებთან — თანამგრძნობთა ჯგუფებთან, კომკავშირთან და უპარტიო აქტივთან.

ალ. გვინჩიძე

ახალ წევრთა მიღება პარტიაში

სოციალიზმისათვის ბრძოლაში, სტალინური ხუთწლედების მანძილზე პარტიამ აღზარდა არაპარტიულ ბოლშევიკთა, თავდადებულ მუშაობაზე შემოწმებულ და ლენინ-სტალინის პარტიის საქმის უსაზღვრო ერთგულ ადამიანთა მრავალრიცხოვანი ფენა. ბოლშევიკურმა პარტიამ, რომელიც მასებთან სისხლხორცეულად არის დაკავშირებული, თავის გარშემო შექმნა უპარტიო ბოლშევიკთა უდიდესი არმია, რომლებიც დღითი-დღე სულ უფროდაუფრო მეტად ითვისებენ პარტიისაგან მის დისციპლინას, მის პრინციპულობასა და შეუპოვრობას სოციალიზმის განხორციელებაში.

უზენაესი საბჭოს არჩევნებმა ერთხელ კიდევ დამაჯერებლად და მკაფიოდ დაგვანახვეს საბჭოთა ქვეყნის ხალხის მასების მაღალი პატრიოტიზმი, უპარტიოთა უსაზღვრო სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისადმი, პარტიის უდიდესი ერთიანობა უპარტიო მასებთან. კომუნისტთა და უპარტიოთა საარჩევნო ბლოკი— ეს მასებთან ბოლშევიკების სისხლხორცეული, ურღვევი კავშირის ერთერთი შედეგია. საარჩევნო კამპანიის დროს წარმოიშვა უპარტიო აქტივისტთა ახალი, უდიდესი ფენა, რომლებიც კომუნისტებთან ერთად მხურვალედ ეწეოდნენ აგიტაციას ბოლშევიკური პარტიისა და იმ კანდიდატთა სასარგებლოდ, რომლებსაც იგი მხარს უჭერდა. დაახლოებით 10 ათასმა უპარტიო აგიტატორმა ჩაატარა მოსკოვის რაიონებში დიდი, არაჩვეულებრივად ნაყოფიერი მუშაობა მოსახლეობას შორის. დღეს ჩვენ მოგვყავს ამხანაგთა გამოსვლები პროლეტარსკის რაიონიდან, რომლებიც ამ ათიათასიანი რაზმის წარმომადგენლები არიან. თვითეულ მათგანს აქვს ერთი სურვილი, ერთი აზრი: შემდეგშიც დაეხმაროს პარტიას მის შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში, მის ბრძოლაში სოციალიზმისათვის.

საარჩევნო კამპანიის ბევრ უპარტიო აქტივისტს შეაქვს განცხადებანი პარტიაში მიღების შესახებ. აი რასა სწერს თავის განცხადებაში ერთერთი აქტივისტი უპარტიოთა აქტივის არმიიდან—ამხ. იგნატოვი, რომელსაც 32 წელი უმუშავნია ვოროშილოვის სახელობის რკინიგზაზე:

„თუმცა მე ხანშესული კაცი ვარ, მაგრამ თავს ახალგაზრდად ვგრძნობ. გთხოვთ მიმიღოთ ლენინ-სტალინის ჩვენი დიდი პარტიის რიგებში. მე არა მაქვს სხვა გზა ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ აქტიურად ფეხდაფეხ ვიარო პარტიასთან ერთად. მე ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას, ხოლო თუ საჭირო იქნება,—სიცოცხლესაც შევწირავ პარტიასა და ხალხს".

რკინის კედლად გარს ერტყმის ახლა პარტიას უდიდესი უპარტიო აქტივი, რომელიც წარმოადგენს რეზერვს პარტიული რიგების შესავსებად. უმაგალითო პოლიტიკური აღტყინება, მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, ათასობითა და ათასობით ახალი უპარტიო აგიტატორები, რომლებიც საარჩევნო კამპანიამ გამოავლინა,—ყოველივე ეს კიდევ უფრო აფართოებს პარტიული ორგანიზაციების შესაძლებლობებს იმ მხრივ, რომ ინდივიდუალურად შეარჩიონ პარტიაში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო, მოწინავე, სოციალიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

ერთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა განაახლა პარტიაში მიღება. თავის დადგენილებაში ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა, რათა პარტიაში მიღება მომხდარიყო **მკაცრი ინდივიდუალური წესით.** პარტიული რიგების შევსების ეს ლენინურ-სტალინური პრინციპი პარტიის ზრდის ურყევი კანონია.

მკაცრმა ინდივიდუალურმა შერჩევამ ამ წლის განმავლობაში დახმარება გაუწია პარტიას შეევსო თავისი რიგები ათასობით მოწინავე მუშებით, კოლმეურნეებით, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანებით. მოსკოვის, ლენინგრადის ცალკეულ საწარმოებში პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავის რიგებში მიიღეს ახალ კომუნისტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა საუკეთესო სტახანოველთა, იმ ადამიანთა რიცხვიდან, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა იცნობს. პარტიაში მიღების განახლების დაწყებიდან, წინასწარი ცნობებით, სულ მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატად 46.289 კაცი და წევრად—51.675 კაცი. ამ რიცხვიდან რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა დაამტკიცეს კანდიდატებად—27.785 კაცი და პარტიის წევრებად—33.720 კაცი.

სიფხიზლე, მკაცრი ინდივიდუალური შემოწმება პარტიაში მიღების დროს, მისი რიგების დაცვა მტერთაგან, უცხოთაგან, დამპალ ადამიანთაგან—აი ის ძირითადი მოთხოვნა, რასაც თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას უყენებს. მაგრამ ეს პრინციპები ბევრმა პარტიულმა ხელმძღვანელმა შესცვალა იმით, რომ სრულიად აიღო ხელი პარტიის რიგების შევსებაზე. ფაქტიურად ბევრ ორგანიზაციაში დღემდე დახურულია პარტიაში მიღება. როგორც სჩანს, ასე უფრო დამშვიდებით იქნებიან, ასე უფრო ნაკლებ სადავიდარაბოა!

მოიპოვებიან პარტიული ხელმძღვანელები, რომლებიც სრულიად დაუსაბუთებლად აფერხებენ პოლიტიკურად პატიოსანი ადამიანების, ჩინებული საწარმოო მუშაკების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ადამიანების შესვლას პარტიაში, კანდიდატობიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრებად გადაყვანას. კალინინის სავაგონო ქარხანაში მუშაობს ზეინკალი ლარიუშკინი. იგი კოლმეურნის შვილია, 1931 წელს მივიდა ქარხანაში წითელი არმიიდან. პოლიტიკურად აღიზარდა და გამოიბრძმედა თავის საამქროში. გახდა წარმოების კარგი მუშაკი. საამქროს კომუნისტები და პარტკომის მდივანი ამხ. გრიგორიევი მას კარგ დახასიათებას აძლევენ. და მაინც არავისა სურს მისცეს მას რეკომენდაცია პარტიაში შესასვლელად. ცოტა როდია ისეთი ფაქტები, როდესაც პარტიული ორგანიზაციები ხელოვნურ უნდობლობას იჩენენ უპარტიო აქტივისტებისადმი, რომლებსაც კომუნისტურ პარტიაში შესვლა სურთ.

დონის როსტოვში რკინიგზისა და სტალინის რაიკომებს ცხრა თვის განმავლობაში არ მიუღიათ პარტიაში არცერთი კაცი! ამ რაიონებში კი საკმაოდ არიან ხომ მუშები, რომლებიც ჩვენს პარტიაში მოილტვიან და ღირსნი არიან იყვნენ მის რიგებში!

როგორც წესი, რაიონული პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ ეწევიან აქტიურ მუშაობას პარტიაში მოწინავე ადამიანთა მისაღებად და კმაყოფილდებიან მხოლოდ განცხადებათა განხილვით. მაგრამ განცხადებათა ეს ავტომატური განხილვაც კი თვეობით ჭიანურდება. საქმის გაჭიანურება, ბიუროკრატიზმი—აი, სამწუხაროდ, ის, რასაც ზოგიერთ ორგანიზაციაში აწყდებიან პატიოსანი ადამიანები, რომლებსაც მხურვალედ სურთ კომუნისტებად გახდომა. მოვიყვანთ ასეთ ფაქტს. გორკის ოლქის ძერჟინსკის რაიონში თანამგრძნობ მოროზოვის განცხადება განუხილველად ძევს პარტიულ ორგანიზაციაში 1937 წლის 15 იანვრიდან.

სერიოზული საკითხია რეკომენდაცია. აქ კანონიერია გამახვილებული სიფხიზლე. არ შეიძლება მისცე რეკომენდაცია ისეთ კაცს, რომელიც არ შეგიმოწმებია, რომელსაც არ იცნობ. მაგრამ როგორ შორს არის ბოლშევიზმისაგან თავის ლაჩრული დაზღვევა, უპასუხისმგებლო შიში რეკომენდაცია მისცე ისეთ ადამიანს, რომელიც პარტიის რიგებში ყოფნის ღირსია!

პარტიის ზრდისათვის დიდი რეზერვია თანამგრძნობები, კომკავშირი. ერთერთი ამოცანაა—მზრუნველობით აღვზარდოთ ამ რეზერვიდან პარტიის ახალი წევრები. პარტია ცოცხალი ორგანიზმია. იგი თავისუფლდება მის რიგებში შემთხვევით შემძვრალი ადამიანებისაგან, უცხო, მტრული ადამიანებისაგან. და იმავდროულად მისი შევსება ხდება, იგი იზრდება საუკეთესო, მოწინავე, პირველ რიგში მუშათა კლასის წრიდან გამოსულ ადამიანთაგან. კომკავშირში არიან აქტივისტები, რომლებიც უკვე დამოუკიდებელი ხელმძღვანელები გახდნენ, რომლებიც რატომღაც უხშობენ პარტიაში შესასვლელ გზას და ამით აფერხებენ ახალი კადრების ზრდას, დაწინაურებას. ბევრმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ მაუდქვეშ ამოსდო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება პარტიაში კომკავშირელთა მიზიდვის შესახებ.

პარტიაში მიღება ახლა პარტიული მუშაობის ძალიან პასუხსაგები უბანია. საჭიროა მახვილი სიფხიზლე, რათა ბოლშევიკთა რიგებში არ შევუშვათ მტერი, ჯაშუში, დივერსანტი. ცნობილია, რომ უცხოეთის დაზვერვათა აგენტები ყოველგვარი გზით ცდილობენ გაძვრნენ პარტიის რიგებში, რათა შეინიღბონ და აწარმოონ ჩვენს ქვეყანაში დამანგრეველი მუშაობა. საჭიროა გულმოდგინედ შევამოწმოთ პარტიაში თვითეული შემსვლელი. შევამოწმოთ ადამიანის პოლიტიკური სახე, ავანგარდული როლი წარმოებაში, გარემოცვა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მორალური სახე.

თვითეული ახლად შემსვლელის მტკიცედ შემოწმებასთან ერთად, საჭიროა ხელი ავიღოთ ავტომატიზმზე პარტიაში მიღების დროს. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო ახლოს მივიდნენ ისინი უპარტიო მასებთან, აგიტატორთა იმ ახალ რაზმთან, რომელიც წარმოიშვა ჩვენს ქვეყანაში ისტორიული საარჩევნო კამპანიის დროს, ყურადღებით დაუკვირდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს რიგებში მოილტვიან, და უნარიანი აღზრდით შეარჩიონ პარტიაში ისეთი ადამიანები, რომლებმაც თავგანწირულებით გამოიჩინეს თავი სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარტიულები ციდან როდი ვარდებიან. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა პარტიული ოდესღაც თვითონ იყო უპარტიო. დღეს იგი უპარტიოა, ხოლო ხვალ პარტიული გახდება" (სტალინი).

პარტიის გარშემო აღიზარდნენ სოციალიზმისათვის აქტიურ მებრძოლთა ახალი უდიდესი რეზერვები. ეს რეზერვები იზრდებიან დღითიდღე, იზრდებიან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებებთან ერთად, პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობასთან ერთად. ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის მტკიცე დაცვით, ადამიანთა გულმოდგინე შემოწმებით ბოლშევიკურ რიგებში გზა უნდა მივცეთ შესანიშნავ, ლენინ-სტალინის პარტიის ბოლომდე ერთგულ უპარტიო აქტივს.

„პრავდის" მოწინავე, 22/XII

◆

შორაპნის კვანძზე სამარცხვინო გარღვევებია

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 11 ნოემბრის დადგენილებაში ა.-კ. რკინიგზის მუშაობის შესახებ ხაზგასმით აღნიშნულია შორაპნის კვანძის სამარცხვინო მუშაობა.

შორაპნის რკინიგზის სადგურის მოუქნელი მუშაობა მეტისმეტად აბრკოლებს მარგანეცის დატვირთვა-გადატვირთვას.

სადგურის ხელმძღვანელობამ არც კი იცის, თუ რამდენი დატვირთული ვაგონი მარგანეცი უნდა გაიგზავნოს ფოთში ყოველდღიურად. უხეშად ირღვევა ტექნიკური ექსპლოატაციის წესები. მოიკოჭლებს შრომის დისციპლინა. სადგურთან ჯერ კიდევ არაა შექმნილი კომპლექსური ბრიგადა, რაც დიდად აბრკოლებს გეგმების შესრულებას.

საზამთრო ტვირთზიდვისათვის მზადება ნელი ტემპით მიმდინარეობს. სავაგონო დეპო უხარისხოდ შეკეთებულ ვაგონებს უშვებს, რაც გზაში მარგანეცის დიდ დანაკარგებს იწვევს.

შორაპნის სავაგონო დეპოში ხშირად 40—50 ავადმყოფი ვაგონი დგას. სავაგონო განყოფილება დეპოს არ აწვდის ზამბარებს, საბუფერო თეფშებს, დრაიმონდის ურიკებს და სარტყლებს.

სავაგონო დეპო დროულად არ სინჯავს ვაგონებს და პატარა დაზიანების დროს ვაგონს შემადგენლობიდან რიცხავს, ან ზერელედ შეაკეთებს ხოლმე. ყველაფერი ეს მატარებლების დაგვიანებას იწვევს.

ცუდად მუშაობს საორთქლმავლო დეპოც (საყუდი). იგი ძალზე აბრკოლებს მარგანეცის გადმოტვირთვას. საყუდში მრავლად მოიპოვება ავადმყოფი ორთქლმავლები. დაუშვებლად აჭიანურებენ მათს გაგზავნას შესაკეთებელ ქარხანაში. ჯანსაღმა ორთქლმავლებმაც წევის წონა შეამცირეს, ვინაიდან „პ. ჩ. პირველის" ხელმძღვანელობას მავნებლური მუშაობის სული უდის. იგი დეპოს არ აწოდებს საკმაო რაოდენობის ქვიშას, ამის გამო ორთქლმავლებს 26 ვაგონის ნაცვლად 18 და 20 ვაგონის წაღება უხდებათ. ირღვევა მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი და სხვა.

მეორე საექსპლოატაციო განყოფილება (ზესტაფონი) ჯერ კიდევ ვერ უწევს კონკრეტულ ხელმძღვანელობას მის გამგებლობაში შემავალ დარგებს. განყოფილების ყოფილმა უფროსმა ბოგატირიოვმა მთლიანად ჩაშალა მუშაობა. მან ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ორთქლმავლები არ იყო და არც ახლა არის რაციონალურად გამოყენებული. ვაგონების ბრუნვა შორაპანში ძალზე მცირეა. ოქტომბრის თვეში შორაპნიდან ჭიათურაში წავიდა 309 მატარებელი, აქედან გრაფიკის დაცვით მხოლოდ 100.

მატარებლების გრაფიკით მოძრაობას აფერხებენ ზოგიერთი დისპეტჩერები, რომლებიც უმიზეზოდ შლიან მატარებლებს და ხელს უშლიან ნორმალურ მოძრაობას.

შორაპნის სადგურის უფროსი არ ატარებს ცვლების საწარმოო თათბირებს და არ ადგენს მათ სამუშაო გეგმებს.

ვაგონების მიუწოდებლობის გამო მუშები ხშირად სცდებიან, წარმოება კი საგრძნობ ზარალს განიცდის.

მუშათა საცხოვრებელი ბინები შეუკეთებელია, არაა საკმაო ინვენტარი, ჩამტვრეულია ფანჯრები. მუშები უზრუნველყოფილი არ არიან სპეცტანსაცმლით.

სტახანოვური მოძრაობის გაშლა-გაფართოებაზე არავინ ზრუნავს. პროფორგანიზაციებიც ამ მხრივ დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ.

შორაპნის კვანძზე არსებული მდგომარეობიდან მეორე საექსპლოატაციო რაიონის ხელმძღვანელობამ საჭირო დასკვნები უნდა გააკეთოს.

ვ. გაჩეჩილაძე

◆ გენიალური პოეტის დიადი იუბილესათვის ◆

საბჭოთა კავშირის მოწინავე ადამიანების აზრი შოთა რუსთაველის შესახებ

გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილე შემოქმედებისა და კულტურის დიდი დღესასწაულია. რუსთაველი, ლექსის ეს უბადლო ოსტატი, რომელმაც გაამდიდრა კაცობრიობა უკვდავი ნაწარმოებით, მსოფლიო პოეზიის უშესანიშნავეს წარმომადგენელთა რიგებში დგას. რუსთაველი, მიუხედავად შვიდ-ნახევარი საუკუნისა, რაც ჩვენ მისგან გვაშორებს, ახლაც გასაგები, მახლობელი და ძვირფასია ჩვენთვის.

ვ. ჩკალოვი

საბჭოთა კავშირის გმირი

○

შოთა რუსთაველის სახელი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შევიდა. ეს უდიდესი პოეტი ღირსეული შვილია თავისი დიდი ხალხისა, რომლის საერთო კულტურა ბევრის მხრივ სანიმუშოა საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. რუსთაველის გაბედული აზროვნება, მისი მაღალი ჰუმანიზმი ბევრად უფრო მაღლად აყენებს მას საშუალო საუკუნეებზე და გამოჰყავს იგი აღორძინების ეპოქის პოეტების რიგში. პატივი და დიდება დიდ პოეტს!

პროფ. ალექსანდროვი

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის ხელმძღვანელი.

○

„ვეფხის-ტყაოსანი" ჩემი საყვარელი, მუდმივად საკითხავი წიგნია, ჩემი დასვენება და სიამოვნება. გულწრფელ სიამოვნებას განვიცდი, როდესაც ესტრადიდან გადავცემ ამ დიად შემოქმედებას. ეს მართლაც „პოეზიის ძვირფასი მარგალიტია", გასაოცარია მისი აზრის სიღრმე და სილამაზე. რა ბედნიერია ის ხალხი, რომელმაც კაცობრიობას მისცა ასეთი პოეტი! რა ბედნიერი ვართ ჩვენ ყველანი, რომ შესაძლებლობა მოგვეცა გავეცნოთ ქართველი ხალხის მშვენიერ ენას, ვინაიდან რუსთაველის პოემა აღსავსეა ცოცხალი ხალხური მეტყველების, მეტაფორების, ანდაზების, თქმულებების განძით. „ვეფხის-ტყაოსანი" ფილოსოფიური აზრების სიღრმესთან ერთად გვაოცებს პოეტური ფანტაზიის სილამაზით. ამ ბოლო დროს მოსკოვში მე ხშირად მიხდებოდა ამ მშვენიერი პოემის ნაწყვეტების საჯაროდ წაკითხვა. ხალხი მუდამ სიხარულით მიესალმებოდა ამ გასაოცარ, შესანიშნავ მხატვრულ ნაწყვეტებს.

გლაგოლევა

რესპ. სახალხო არტისტი, მცირე თეატრის მსახიობი

○

მე აღტაცებაში მოვყავარ რუსთაველის გენიალური ქმნილების არა მარტო მაღალ ოსტატურ პოეტურ ფორმას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ღრმა შინაარსს. საქართველოს მგოსანი, რომელიც ჩვენს ეპოქამდე შვიდი საუკუნის წინ ცხოვრობდა, საოცარი სიღრმით უდგება იმ საკითხებს, რომელნიც მუდამ აღელვებენ კაცობრიობას—თავგანწირული სიყვარულისა და მეგობრობის საკითხებს. ამასთან ერთად რუსთაველი უაღრესად მკაფიოდ გამოხატავს ჭეშმარიტი პოეტის დანიშნულებას, პოეზიის ამამაღლებელ როლს ადამიანთა ცხოვრებაში.

რუსთაველი ამბობს:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი".

ჭეშმარიტი მგოსნისათვის საჭიროა სიტყვის მთელი ძალა, მგზნებარე გული, ქნარი და გამჭრიახობა, რათა პოეტის სიტყვა ისმოდეს, როგორც კანონი. ასეთია რუსთაველის შეხედულება პოეტზე. და თავის დიად ქმნილებაში თვითონ რუსთაველი გამოდის ასეთ შთაგონებულ მგოსნად. მისი სიმღერა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სრულქმნილია, „გულისა გასაგმირალი". ამ ბოლო დროს მე ხშირად მიხდებოდა რუსთაველის ნაწყვეტების წაკითხვა საჯარო საღამოებზე, აგრეთვე რადიოში. მოსკოველი რადიო-მსმენელნი უამრავ წერილებს ჰგზავნიან და გვთხოვენ — რაც შეიძლება ხშირად გაიმეოროთ რუსთაველის საღამოები.

ვერბიცკი

რესპ. დამსახ. არტისტი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი

○

შოთა რუსთაველის პოემამ ჟამთა სიავეს გაუძლო. შვიდას წელზე მეტი გვაშორებს მისი გაჩენის დროს, მაგრამ, როგორც კეთილშობილ ოქროს, მას არ დაუკარგავს თავისი ბრწყინვალება. ჩვენი კავშირის ხალხებმა იგი კვლავ ჰპოვეს მთელი თავისი სრულხმოვანებით და ამჟამად იგი ქებათაქებას ასხამს ქართველი ხალხის უდიდეს ხელოვნებას, მის გმირულ წარსულს, მის სახელოვან ისტორიას. მიმართავენ რა ამ პოემის შემომქმედის — შოთა რუსთაველის სახელს, საბჭოთა ხალხები საუკუნეთა სიღრმეში უძღვნიან მას თავიანთ მადლობასა და აღტაცებას. „ვეფხის-ტყაოსანი" პირდაპირ გვაოცებს თავის სახეთა სიღრმითა და სიმშვენიერით, მხატვრული შედარებებისა და აფორიზმების გენიალობით. გენიალური მოაზროვნე, მზიური მგოსანი რუსთაველი ჩვენს ეპოქაში შემოდის, როგორც თანამედროვე. მისი ლექსი თითქოს გასხივოსნებულია მოვალეობის, მეგობრობის, უსაზღვრო სიმამაცის, ერთგულების, უღრმესი სიყვარულის იმ გრძნობით, რომელიც ასე ახლობელია ჩვენი გმირული, საამური ცხოვრების უშესანიშნავესი დღეებისათვის. განა სამი გიგანტის—ტარიელის, ფრიდონის, ავთანდილის ურთიერთობაში ჩასახული არ არის ის მშვენიერი რამ, რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით ადამიანთა ურთიერთობაში? განა უსაზღვრო მეგობრობა, რომლის გულისთვისაც ისინი ყოველნაირ დაბრკოლებებს და საშიშროებას სძლევენ, ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მტკიცე ურღვევ მეგობრობას არ ეხმაურება? რუსთაველის გმირებთან ჩვენ გვაახლოვებს მათი უსაზღვრო ერთგულება მოვალეობისადმი, მათი ღრმა სიყვარული ადამიანური სიხარულისადმი. ჩემის აზრით, ამაშია მთავარი რამ, რაც მას ხდის ცოცხალ და საყვარელ, ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენი ეპოქისათვის საჭირო პოეტად.

გიორგი ცაგარლის თარგმანი მე საუკეთესოდ მიმაჩნია. მასში ვგრძნობ რუსთაველის ლექსის თავისებურებასა და ძალას, მასში მესმის რუსთაველის სტროფების მუსიკა. ის ხშირად გაცილებით უფრო მაღლა დგას ბალმონტის თარგმანის მომაბეზრებელ ენატიკტიკობაზე, სადაც ხშირად იკარგება შინაარსი და აზრი. უდიდესი მოთხოვნილება „ვეფხისტყაოსნის" მოსმენაზე, რასაც ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა უაღრესად ფართო ფენებში ვხედავთ, განსაზღვრავს საბჭოთა ხალხის მისწრაფებასა და ინტერესს ღრმა სიბრძნის გზით გასხივოსნებული გენიალური პოემისადმი.

ვლ. ლიდინი

მწერალი



რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან.

შოთა რუსთაველი

წასვლა ავთანდილისა ფრიდონისას მულღაზანზარს რომ შეეყარა

ვა, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა!

ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმა მისწვდების ცათამდის;
იტყვის თუ: „ღვარი სისხლისა კვლაცა მდენია, კვლაცა მდის;
აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა ცათამდის.
კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის.

ველს მაშინ მხეცნი ძღებოდეს ცრემლითა მუნ ნატირითა;
ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა;
კვლა თინათინის გონება ავსებს უფროორე ჭირითა,
მაგეთა ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა.

ვარდი ჭნებოდა, ღრუბოდა, ალვისა შტო ირხეოდა;
ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა;
გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმხნეოდა;
იტყვის თუ: „ბნელი რას მიკვირს, რადგან დამაგდე, მზეო, და!"

მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის ლაწვთა დარად,
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთად და ბარად;
ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამად გიჭვრეტ არ დამცდარად,
მაგრა ჩემი რად დააგდეთ გული ცივად, გაუმთბარად?

თვე ერთისა მოშორვება მზისა ზამთრის გაგვაცივნებს;
მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს?
მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ ატკივნებს.
წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს, ანუ გაასივნებს".

იტყვის თუ: „ჩემი ხელ-მქმნელი, ღმერთო, მზეა და ცად არი,
ვინ პირი მსგავსად მის მზისა შეჰქმენ და შეაცადარი.
უმისოდ სულდგმულობასა, გულო, ვით შეეცადარი!
ვა, სიცოცხლისა სოფელმან აროდეს არ დამცა დარი!"

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა;
მას უთხარ თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა".

ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა, ბრჭესა სრულსა,
მო და უყავ სამართალი,—გაებრჭობის გული გულსა,—
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა:
მართალი ვარ, გამიკითხე, რად მაწყლულებ მისთვის წყლულსა!

მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა,
შეცამღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,
მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა;
რაგვარ გასრულვარ, შენ იცი, გულია აღარ ლხენითა!

მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;
შენ დააშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა მაგითა,
ვისმე ჩემებრსა დააგდებ, გახდი ცნობითა შმაგითა.

ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა,
მზე მაბრუნებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა;
დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვრილსა, ვით ლერწამსა.

მო, მთვარეო, შემიბრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვწვრილდები;
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ რაგვარ ვბნდები,
მიდი, უთხარ: „ნუ გასწირავ!" მისი ვარ და მისთვის ვკვდები.

აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან;
მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან!"

აწ გულსა ეტყვის! „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია,
რას გარგებს მოკვლა თავისა, ეშმა ძმად თურე გძმობია,
მეც, ვიცი, ჩემს ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია,
მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!

თუ დავრჩეო, ესე მიჯობს,—სიცოცხლესა ეტყვის თუსა:
ნუთუ მომხვდეს ნახვა მზისა, ნუ ვიზახი მიწყივ უ-სა".
მიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ გასწყვეტდის ცრემლთა რუსა;
მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა.

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან.
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

დიდი იუბილეს წინ

ყაზანი, 21 დეკემბერი (საქდესი). ყაზანის უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო ბიბლიოთეკა აწყობს უდიდესი ქართველი პოეტისადმი მიძღვნილ გამოფენას.

თათართა ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „სოვეტ-ედებიატე" უშვებს საიუბილეო სპეციალურ ნომერს. მასში პირველად გამოქვეყნდება თათრულ ენაზე „ვეფხის-ტყაოსანი". 1938 წ. დამდეგს პოემა ცალკე გამოცემის სახით გამოვა.

ყაზანის უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ეწყობა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი მხატვრული საღამოები.

○

სმოლენსკი, 21 დეკემბერი (საქდესი). ვ. ი. ლენინის სახელობის სმოლენსკის ცენტრალური ბიბლიოთეკა აწყობს უდიდესი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენას.

○

იაროსლავლი, 21 დეკემბერი (საქდესი). საოლქო ცენტრალური ბიბლიოთეკა აწყობს შოთა რუსთაველის შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება „ვეფხის ტყაოსნის" გამოცემები, წერილები შოთა რუსთაველის შემოქმედების შესახებ, ილუსტრაციები და ფოტოგრაფიები.

ბიბლიოთეკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება რუსთაველის განთქმულ პოემაზე.

○

ქუთაისი, 21 დეკემბერი (საქდესი). 14 დეკემბერს საღამოთი, № ასეულის კლუბში თავი მოიყარეს მებრძოლებმა, მეთაურებმა და მათი ოჯახის წევრებმა. ასეულის მეთაურმა ამხ. უ. თავაძემ მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამო. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა შესაძლებელი „ვეფხის-ტყაოსნის" ყოველმხრივ შესწავლა, ამ უძვირფასესი საგანძურის გადაქცევა მშრომელი ხალხის კუთვნილებად.

მოხსენებით შოთა რუსთაველის ეპოქისა და „ვეფხის-ტყაოსნის" მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა ამხ. ს. ისიანი. საღამოზე მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა. წითელი მებრძოლები კმაყოფილნი იყვნენ საღამოს ჩატარებით.

ფართოდ გაიშალა სკოლებში მზადება შოთა რუსთაველის იუბილესათვის, ამ მხრივ აღსანიშნავია მე-24 საშუალო სკოლა, სადაც სისტემატურად ტარდება მოხსენებები „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ. მოწაფეები ეცნობიან შოთა რუსთაველის ეპოქას, ამ ეპოქის მატერიალურ ძეგლებს.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაც დროულად შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას.

საიუბილეო მზადების დღეებთან დაკავშირებით შერჩეული და გამოყოფილია წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და სხვა ისტორიული მასალა შოთა რუსთაველის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ.

სერგი მაკალათია

საქართველოს ფეოდალური მონარქია რუსთაველის ეპოქაში

საქართველოს ნაწილების პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანების პროცესი, როგორც ცნობილია, დაიწყო ბაგრატ III გამეფებიდან (980 წ.), მაგრამ ეს გაერთიანება ჯერ კიდევ ნელი ნაბიჯით მიდიოდა, რადგანაც საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის ცენტრი თბილისი არაბთა ხელში იმყოფებოდა. ბაგრატ III მომდევნო მმართველები თბილისის შემოერთების აუცილებლობას კარგად გრძნობდნენ. დავით აღმაშენებელმა მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, 1122 წელს, შესძლო თბილისის აღება, არაბების განდევნა საქართველოდან და სატახტო ქალაქის ხელახლა გადატანა ქუთაისიდან თბილისში. დავითმა მოახერხა საქართველოს ფეოდალური ერთეულების გაერთიანება და ფეოდალები აიძულა ეცნოთ მისი უპირატესობა.

თბილისის შემოერთების შემდეგ ქართული ფეოდალური მონარქია საკმაოდ ძლიერდება, რასაც ხელს უწყობდა იმ დროს აღმოსავლეთში წარმოებული ჯვაროსანთა ომები და ამით გამოწვეული გართულებული საგარეო მდგომარეობა.

ჯვაროსანთა ომებმა ყველა სამაჰმადიანო ქვეყნის მთავარი ყურადღება მიმართა პალესტინისაკენ, სადაც ისინი ხანგრძლივ და მედგარ ბრძოლებს აწარმოებდნენ აზიაში შემოჭრილ დასავლეთ ევროპის ჯვაროსნების წინააღმდეგ.

საქართველოს მმართველებმა ისარგებლეს ამ გართულებული და ხელსაყრელი საგარეო მდგომარეობით და საქართველოს შინაგანი გაერთიანების შემდეგ გადავიდნენ მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ შეტევაზე. ამგვარი ომების წარმოების მთავარ ინტერესს შეადგენდა სამხედრო ნადავლის მოპოვების სურვილი, რომელზედაც დამყარებული იყო ფეოდალური არისტოკრატიის კეთილდღეობა.

ამასთანავე ფეოდალური მონარქიის ძლიერება დამოკიდებული იყო აგრეთვე მოყმე სამეფოებისა და სამთავროების სიმრავლეზე. ამიტომ დაიწყეს საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებზე გალაშქრება, შექმნეს ძლიერი სამხედრო ძალა, რომლის შიშით არაერთმა მაჰმადიანმა მთავარმა, ამირამ და სულთანმა აღიარა საქართველოს ყმობა და მისი მეხარკეობა.

XII საუკ. საქართველოს ფეოდალური მონარქიის უფლება მთელ კავკასიას სწვდებოდა და ყივჩაყთა, ოსთა, შირვანის, განძისა და სხვათა მეფეებმა თუ მთავრებმა აღიარეს საქართველოს მორჩილება. თამარის დროს საქართველოს ფეოდალური ლაშქარი ჩრდილო სპარსეთშიც შეიჭრა და მრავალი ქვეყნის აოხრების შემდეგ დიდი ნადავლით დაბრუნდა საქართველოში.

ერთი სიტყვით, XII საუკ. საქართველოს ფეოდალური მონარქია ტერიტორიული გაფართოებისთვის აქტიურ დაპყრობითს პოლიტიკას აწარმოებდა კავკასიაში, მცირე აზიაში და აღმოსავლეთის ქვეყნებში და იმდროინდელ აღმოსავლეთში ერთერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. მაგრამ საქართველოს ეს ძლიერება უმთავრესად დამყარებული იყო სამხედრო ძალაზე.

ფეოდალური საზოგადოება, როგორც საზოგადოდ ყველგან, ჩვენშიაც კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობაზე იყო დაფუძნებული. არ იყო განვითარებული ვაჭრობა და წარმოება, რომელთა ზრდა-განვითარებას ფეოდალური წყობილება ძირს უთხრიდა. ამიტომ ქონების მოხვეჭის თუ უფლება-ძლიერების მოპოვების ერთადერთი საშუალება იარაღი და პირადი ვაჟკაცობა იყო ვისაც ხმალი უჭრიდა, ფეოდალურ საზოგადოებაში იგი ბატონობდა. ამიტომ რაინდობას და მოლაშქრეობას მაშინ საპატიო ადგილი ეჭირა. ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერებაც ემყარებოდა ლაშქრობას, რომელიც იძლეოდა დიდ ნადავლს და მრავალ ტყვეს. ამიტომ ფეოდალურ საქართველოში ყველაზე დიდი თანხა იხარჯებოდა მოლაშქრეთა შენახვაზე და სამხედრო საქმეებზე, რადგანაც ლაშქრობასა და ვაჟკაცობას პატივი ჰქონდა და ეს გაბატონებული არისტოკრატიის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენდა.

ფრ. ენგელსის თქმით, „ფეოდალურ ხანაში ლაშქრობა და სალაშქრო ორგანიზაცია მთავარი ფუნქცია იყო იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში... ფეოდალიზმის ხანაში ლაშქრობას მამულის გადიდებასთან ერთად უმთავრესად ქონებისა და ნადავლის მოპოვება ამოძრავებდა".

ქართულ ფეოდალურ-ბატონყმურ საზოგადოებას XII საუკ. ამგვარი ინსტინქტი ამოძრავებდა და ქართველი ფეოდალები ამ მიზნით ლაშქრობას აწყობდნენ შორეულ ქვეყნებშიც, რის შესახებ თამარ მეფის მემატიანე მოგვითხრობს: „მოვიდეს მხარგრძელნი ამირსპასალარი ზაქარია და მსახურთუხუცესი ივანე და ვარამ გაგელი მეფის წინაშე და მოახსენეს: შენ ძლიერი სახელმწიფოს მბრძანებელი ხარ. მრავალნი აზნაურნი, მხნენი და რჩეულნი იპოვებიან სპათა შენთა და ან უბრძანე სპათა ლაშქრობად ხვარასანს და ნიკოფსიით დარუბანდამდის"-ო.

ამ ფეოდალური მონარქიის სათავეში იდგა მეფე, რომელიც ქვეყნის პატრონად ითვლებოდა, ქვეშევრდომნი კი, წოდებათა განურჩევლობდ, მის ყმებად.

რუსთაველის ეპოქაში ამ მონარქიის სათავეში მოექცა თამარ მეფე (1184—1214 წ.წ.), რომელიც გიორგი III ერთადერთი ასული და კანონიერი ტახტის მემკვიდრე იყო. ქალის სამეფო ტახტზე ასვლა და მეფობა იმ დროს იშვიათი მოვლენა იყო. ამას კარგად გრძნობდა თვით გიორგი III და ამიტომ მან თამარი თავის სიცოცხლეშივე აიყვანა თანამოსაყდრედ, რომ მისი სიკვდილის შემდეგ თამარს შესძლებოდა სამეფო ტახტის დასაკუთრება. გიორგი შეეცადა, რომ დიდგვარიანი ფეოდალები და სამეფოს მაღალი მოხელეები შერიგებოდნენ თამარის გამეფებას და მის სიცოცხლეშივე ეცნოთ მათ თამარის ტახტის მემკვიდრეობის კანონიერება. მართალია, თამარს ტახტის დაუფლებაში მეტოქე უკვე არ ჰყავდა (დემნა დასჯილი იყო), მაგრამ იმდროინდელ ფეოდალურ-რაინდულ საქართველოში მაინც ძნელი იყო ქალი მამაკაცის თანასწორი უფლების ღირსად ეცნოთ და ქალის მეფობა მიეღოთ. გიორგი III-მ ფეოდალური არისტოკრატია ფაქტის წინაშე დააყენა და იძულებული გახადა თამარის გამეფება მიეღო. მაგრამ ფეოდალურმა არისტოკრატიამ თამარს წაუყენა მოთხოვნა, რომ სახელმწიფოს მაღალი თანამდებობებიდან გადაეყენებინა ყველა უგვარო მოხელე და მათს ადგილზე დაენიშნა დიდგვარიანი ფეოდალები.

ამგვარად, თამარის გამეფებისთანავე თავი იჩინა წოდებრივმა განხეთქილებამ. გაფიცული დიდგვარიანები გადაჭრით მოითხოვდნენ უგვარო ვაზირებისა და მოხელეების გადაყენებას და მაღალ თანამდებობებზე მხოლოდ დიდგვარიანების დანიშვნას. გაფიცვა საშიშ ხასიათს იღებდა და თამარი იძულებული გახდა ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს, რასაკვირველია, რეგრესიულ მოვლენას წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელი და გიორგი III თავიანთი უფლებების განსამტკიცებლად ეყრდნობოდნენ ფეოდალების მოწინააღმდეგე ძალას — უგვარო, მხოლოდ პირადი ღირსების მქონე ერთგულ მოხელეებს და ასეთი პოლიტიკის წყალობით მათ შესძლეს ფეოდალების დამორჩილება, მეფის ძალაუფლების განმტკიცება და საქართველოს გაერთიანება.

თამარი იძულებული გახდა დიდგვარიანთა და უგვაროთა შორის ბრძოლაში დიდგვარიანებს მიმხრობოდა, რითაც გააძლიერა ფეოდალური არისტოკრატიის წოდებრივი ბატონობა. უგვაროების ჯგუფში შედიოდნენ დიდ ვაჭართა წარმომადგენელნი, შეძლებული მოქალაქენი, ხელოსნები და სხვ. ამ წოდების ძლიერება დამყარებული იყო ფულადს მეურნეობაზე. იგი წარმოადგენდა საზოგადოების მესამე წოდებას, რომელიც მიისწრაფოდა პოლიტიკური ძალა-უფლების მოპოვებისაკენ, ხელისუფლებისაკენ. თამარის პოლიტიკამ ამ წოდებას იმედები გაუცრუა, წაართვა წინათ მოპოვებული უფლებები და ისევ ფეოდალურ არისტოკრატიას დაუმორჩილა.

ფეოდალური არისტოკრატიის გაძლიერებამ მალე გამოიწვია ამ უგვარო მესამე წოდების პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც მეთაურობდა მეჭურჭლეთ უხუცესი (ფინანსთა ვაზირი) ყუთლუ არსლანი. მემატიანის ცნობით, ყუთლუ არსლანი ჩამომავლობით იყო უგვარო (არა აზნაური) და იგი მოხსენებულია იმ წრის წევრად, რომელსაც „აღამაღლებს სიმდიდრე", ე. ი. ეკუთვნოდა იმ წრეს, რომელიც სიმდიდრით იყო განდიდებული და არა ჩამომავლობით, იგი განაგებდა სამეფო საჭურჭლეს (ხაზინას). მის ხელში იყო ფულადი მეურნეობის წარმოება, ვაჭრობა და სხვ.

მესამე წოდებამ ყუთლუ არსლანის მეთაურობით შეიმუშავა თავისი პოლიტიკური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის უფლებების შეზღუდვას და თამარს წარუყენა მოთხოვნა: მეფის სასახლის გვერდით დაედგათ „კარავი", სადაც დასხდებოდა დარბაზის ერი და საკანონმდებლო და სახელმწიფო საქმეებს გაარჩევდა. მეფეს ამ „კარავის" სხდომაზე დასწრება არ შეეძლო, მას მხოლოდ „კარავის" გადაწყვეტილებას აცნობებდნენ და მეფე ვალდებული იყო „ეს განგებული სრულექმნა", ე. ი. სისრულეში მოეყვანა.

ყუთლუ არსლანის დასის მოთხოვნით მეფის უფლებები შეზღუდული იყო და მეფეს რჩებოდა მხოლოდ აღმასრულებელი ძალა-უფლება. სამეფოს მთელი მართვა-გამგეობა გადადიოდა უმაღლეს დაწესებულებაში — „კარავში დასხდომილთა" ხელში. ამ ახალ დაწესებულებას ეძლეოდა სხვადასხვა ბრძანების გამოცემის უფლება, მის ხელში გადადიოდა ხარჯების გაწერა და აკრეფა, მართლმსაჯულება და სხვ.

ამგვარად, XII საუკუნეში, თამარისა და რუსთაველის ეპოქაში, ადგილი ჰქონია ფრიად საყურადღებო პოლიტიკური ხასიათის მოძრაობას. ეს მოძრაობა, უეჭველია, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ვაჭართა კლასის გაძლიერებასთან. ანალოგიურ მოვლენებს ადგილი ჰქონდა იმავე XII საუკუნეში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით ვენეციასა, გენუასა და იტალიის სხვა ქალაქებში, სადაც სავაჭრო კაპიტალის ზრდასთან ერთად გაძლიერდა ვაჭართა კლასი და წარმოიშვა დემოკრატიულ წყობილებაზე დაფუძნებული რესპუბლიკები და საქალაქო კომუნები.

ყუთლუ არსლანისა და მისი დასის მოთხოვნა, რასაკვირველია, თამარისა და მისი მომხრე ფეოდალური კლასისათვის მიუღებელი იყო. ამიტომ თამარმა გადასწყვიტა ამ დასის განადგურება და მისი მეთაურის ხელში ჩაგდება. თამარის ბრძანებით ყუთლუ არსლანი შეიპყრეს, მაგრამ მეამბოხეთა ჯგუფი ძლიერი აღმოჩნდა. მათ განიზრახეს მეფის სასახლეზე გალაშქრება, ყუთლუ არსლანის განთავისუფლება და თავიანთი პოლიტიკური მიზნების იარაღის საშუალებით განხორციელება. ამან ფეოდალური არისტოკრატია დააფრთხო, თამარმა იგრძნო თავისი უძლურება, განსაცდელის დროს მიმართა დიპლომატიურ ხერხს და განდგომილები შეირიგა. თუ რა პირობებში მოხდა თამარისა და მეამბოხეთა შორის შეთანხმება, არ არის საკმაოდ ცნობილი, მაგრამ, უეჭველია, თამარი იძულებული უნდა ყოფილიყო ყუთლუ არსლანის დასისათვის დაეთმო განსაზღვრული პოლიტიკური უფლებები.

თამარი მტკიცედ იცავდა თავის მონარქიულ უფლებებს და მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, უეჭველია, გამჭრიახობა და დიპლომატობა არ აკლდა. იგი ეყრდნობოდა ფეოდალურ არისტოკრატიას, რომლის ერთგული სამსახურით მან შესძლო პოლიტიკური ძლიერებისა და საზოგადოებრივი გავლენის მოპოვება.

საქართველოს ფეოდალურმა მონარქიამ პოლიტიკური ძლიერების ხანაში შესძლო საკმაოდ მაღალი კულტურის შექმნა. ამ დროს განვითარდა ფილოსოფიური აზროვნება და საერო მწერლობა, განსაკუთრებით რაინდული პოეზია, რაინდული მიჯნურობა, რაც იმდროინდელი დასავლეთ-ევროპის ფეოდალიზმსაც ახასიათებდა. მაგრამ რუსთაველივით გენიალურად ეს რაინდული რომანტიკა არავის მოუცია.

ამას ხელს უწყობდა, უეჭველია, ის გარემოება, რომ ფეოდალური საქართველოს მეფედ ქალი იჯდა, და ისიც, როგორც მემატიანეები აღნიშნავენ, გასაოცარი სილამაზისა. იმდროინდელ ფეოდალურ-რაინდულ საქართველოში ამას მნიშვნელობა ჰქონდა და ეს აძლევდა საბაბს მემატიანეს ეთქვა, რომ „ერაყს მყოფნი მეჩანგენი თამარის შესხმითა მუსიკობდიან, ფრანგნი და ბერძენნი ზღვასა შინა მენავენი, ნიავ კეთილობათა შინა თამარის ქებათა იტყოდიან".

ამან შექმნა თამარის კარზე მეხოტბეთა მთელი ჯგუფი, რომელიც უმღეროდა თამარის მშვენიერებას, ძლიერებას და ცდილობდა თამარის გამეფების უფლებრივ-მორალურ გამართლებას. ეს საკითხი თამარის კარის მეხოტბეთა შორის ყველაზე გენიალურად გადასჭრა რუსთაველმა და სთქვა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია".

◆

ჩვენ გვწერენ

ალვირახსნილი ბრიგადირი

ვლადიმერ ქვილორია სოფ. შრომის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნეობის ბრიგადირია. მან თვალში ამოიღო თავისი ბრიგადის წევრი ქალი ი. ყ—ა. და მოსვენებას არ აძლევდა. სთხზავდა გეგმებს, თუ როგორ ჩაეგდო ხელში აქტიური კოლმეურნე.

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს გალეშილი ქვილორია სახლში მიუხტა ი. ყ—ას. ქალის კივილზე თავი მოიყარეს მეზობლებმა და გამხეცებული ქვილორია გამოაგდეს ბინიდან. ეს პირველი შემთხვევა როდია ამ ვაჟბატონის თავგასულობისა. იგი ასევე მოექცა ე. ჯ—ს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ქარჩავამ წიხლი არა ჰკრა ბრიგადირის პურმარილს და ეს საქმე მიაფუჩეჩა.

25 ნოემბერს ღამით ვ. ქვილორია და ი. კვაჭანტირაძე მთვრალები შეხვდნენ ურმით მიმავალ აქტიურ კოლმეურნე ქრ. ყალიჩავას. ურემი ხრამში გადაუგდეს, ყალიჩავას კი მაგრად სცემეს. დაზარალებულმა ეს ამბავი მეორე დღეს აცნობა კოლმეურნეობის პარტორგანიზატორს გ. ხომერიკს, მაგრამ მას არავითარი ზომები არ მიუღია.

კოლმეურნეები მოითხოვენ ალვირახსნილი ბრიგადირის ალაგმვას.

ალ. ფანჩულიძე
ალ. ჭედია

დამნაშავენი დაუსჯელი დარჩნენ

მთავარ სააფთიაქო სამმართველოს ახალი ხელმძღვანელობა ვერ განთავისუფლდა ყოფილ მავნებელ ხელმძღვანელთა „კუდებისაგან". ბოროტმოქმედთა ჯგუფი, რომელიც ჯერ კიდევ მოკალათებულია სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალურ საწყობში, ცდილობს თავისი ბნელი საქმეები ისე მოაკახრაკოს, რომ ვერავინ გაუგოს და, თუ გაუგეს, „შეცდომად" ჩაუთვალონ. ბოლშევიკურ სიფხიზლეს მოკლებული მუშაკებიც სამწუხაროდ უდასტურებენ: „მართალია, ეს შეცდომაა და არა ბოროტმოქმედებაო".

ბაზარში ხშირად შეხვდებით ქინაქინას, პერეჰიდროლს და სხვა მედიკამენტებს სპეკულანტების ხელში, საიდან? გასაგებია. მედიკამენტები სისტემატურად გააქვთ ცენტრალური საწყობიდან და მალულად ჰყიდიან კერძო ბაზარზე.

იყო შემთხვევა, როცა ფარმაცევტ არონ ჯანუაშვილს დაუჭირეს 100 კილო „კალიპერმანგანიცი". ჯანუაშვილი კილოგრამს 30 მანეთად ჰყიდდა. კიდევ ბევრი სპეკულანტი იქნა დაპატიმრებული მედიკამენტებით ხელში.

ამასწინათ სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალური საწყობის პასუხისმგებელმა მუშაკებმა თავიანთი ჯიბის გასასქელებლად მომხმარებელთა მოტყუება განიზრახეს. თბილისის საბჭოთა № 6 აფთიაქმა გამოიწერა თევზის ქონი. ცენტრალურმა საწყობმა აღნიშნულ აფთიაქს 2000 ცალი 400—გრამიანი ჩამოსხმული თევზის ქონი გადაუგზავნა. აფთიაქის თანამშრომლებს ეჭვი შეეპარათ თევზის ქონის რაოდენობაში. გასინჯვისას აღმოჩნდა, რომ 400 გრამის ნაცვლად ჩასხმულია ზოგში 360, ზოგში 355 და ზოგში 365 გრამი. საშუალოდ თვითეულ ბოთლს აკლდა 30—40 გრამამდე, ამრიგად, გადმოგზავნილი თევზის ქონის დანაკლისი 60—80 კილოგრამს შეადგენდა. მაშასადამე, თბილისისა და რესპუბლიკის აფთიაქებში დაგზავნილი თევზის ქონის დანაკლისის ღირებულება რამდენიმე ათეულ ათას მანეთს შეადგენს, ეს ყველაფერი მოფიქრებულად ჩადენილი „შეცდომაა", რომელიც უსათუოდ მითვისების თვალსაზრისით არის გაკეთებული.

სააფთიაქო სამმართველოს ხელმძღვანელობა მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ დაუგზავნა ბრძანება ყველა აფთიაქის გამგეებს, რომელთაც წინადადებას აძლევდა: თევზის ქონი, 400 გრამიან ბოთლებში ჩამოსხმული, გასცენ მომხმარებლებზე და იანგარიშონ არა როგორც 400 გრამი, არამედ 360 გრამი, ამავე დროს ხსენებული მარაგი თევზის ქონისა ასწერონ და გამოარკვიონ დანაკლისი, განსხვავებას ცენტრალური საწყობიდან მიიღებთო.

ჩვენ ვფიქრობთ, სააფთიაქო სამმართველო სწორად არ მოიქცა, რომ ცენტრალურ საწყობში მოკალათებული დამნაშავენი დაუსჯელად დასტოვა. ეს მან უნდა გაასწოროს სანამ გვიან არ არის, მით უმეტეს, რომ სააფთიაქო სამმართველოს საწყობში აფთიაქების ზომა-წონაში მოტყუება ჩვეულებრივ ამბად არის გადაქცეული.

ა. ბურთიშვილი.

ფუქსავატი კირილე ქობალავა

სოფ. ზანათში (აბაშის რაიონი) რემა მალანიას იცნობენ, როგორც გამრჯე და პატიოსან კოლმეურნეს. კოლმეურნეობაში შესვლამდე რემამ სიღარიბე განიცადა. წვრილი ცოლშვილის პატრონი მუდამ მათზე მზრუნველობაში იყო. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ საშუალება მიეცა შვილებისათვის ესწავლებინა. უფროსმა ქალმა გოგუცამ საშუალო განათლება მიიღო და ოჯახს დახმარებას უწევდა.

რემას ოჯახს დაუახლოვდა ამავე სოფლის მცხოვრები კირილე ქობალავა, რომელიც სიყვარულს ეფიცებოდა გოგუცას და სთხოვდა რემა მალანიას — ქალიშვილი მიეთხოვებინა. რემა ყოყმანობდა, მაგრამ ანგარიში გაუწია იმას, რომ კირილეს კარგი ოჯახი აქვს, პარტიის წევრია და ქალ. ვორონეჟის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, და დათანხმდა. აბა რას იფიქრებდნენ რემა და მისი შვილი, თუ კირილეს ორი წყება ცოლშვილი უკვე გაშვებული ჰყავდა და მათ ყოველთვიურად ალიმენტებს უხდიდა.

კირილე გაემგზავრა ქ. ვორონეჟში, თან წაიყვანა თავისი მესამე ცოლი. კირილეს ხელახლა აღიძრა სურვილი ახალი „გაბედნიერებისა" და გადასწყვიტა უკვე „მობეზრებული" ცოლის—გოგუცას თავიდან მოშორება.

— ჩემო ძვირფასო, შენი მოშორება ერთი წუთითაც მიჭირს, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი თვით მაინც უნდა დავშორდეთ ერთმანეთს. მე ახლა სადიპლომო შრომები უნდა ჩავაბარო. ამიტომ საჭიროა ცალ-ცალკე ვიცხოვროთ. შენ საქართველოში წადი, მე სამ კვირაში მოვრჩები საქმეს და აუცილებლად ჩამოვალო, — უთხრა მან ცოლს.

დაუჯერა ამ გაიძვერას გულუბრყვილო გოგუცამ, წამოვიდა საქართველოში. გავიდა დანიშნული დრო, კირილე კი არსად სჩანს. გაუგზავნა წერილები, დეპეშები, მაგრამ ერთი პასუხიც არ მიუღია. გავიდა ერთი წელიწადი. გოგუცამ გაიგო, რომ კირილე ახლა ცხოვრობს ქ. მოსკოვში უკვე მეოთხე ცოლთან.

გოგუცა დღეს მამის ოჯახში ცხოვრობს. ქმრისაგან შეურაცყოფილი, და დაავადმყოფებული დასტირის თავის უბედურ დღეს.

კირილე ქობალავა უნდა დაისაჯოს.

გრ. გეგენავა

მომხმარებლებს აბუჩად იგდებენ

მიმდინარე წლის 10 სექტემბერს თბილისის 48-ე ახალ სკოლაში გამოცხადდა მხატვართა არტელის „ენგურის" (თბილისი, ჟორესის ქ. № 26) აგენტი, რომელმაც სკოლასთან დასდო ხელშეკრულება: არტელი დაამზადებდა 12 ცალ წარწერას მინაზე, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია ვალდებული იყო არტელის მიმდინარე ანგარიშზე გადაერიცხა 530 მან. ხელშეკრულების თანახმად წარწერები მზად უნდა ყოფილიყო 21 სექტემბერს, მაგრამ არტელის მესვეურების დაუდევრობით დღესაც არ არის შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. რა არის ეს, თუ არა მომხმარებელთა აბუჩად აგდება? საჭიროა დამნაშავემ პასუხი აგოს.

ე. ურუშაძე

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„მიწით მოვაჭრენი"

ჩვენი სოფლკორები ანდრო, ილია და მიხეილ ხუნდაძეები გვწერდნენ, სოფ. ქვედა-გორის (ვანის რაიონი) მცხოვრებნი პავლე და ბესარიონ გამრეკლიძეები მიწით სპეკულაციას ეწევიანო.

აღნიშნული წერილი რედაქციამ გამოსაკვლევად და ზომების მისაღებად გაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს. რესპ. პროკურორის უფ. თანაშემწე ამხ. ნ. საკოკვი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და მიწით მოვაჭრეთა — პავლე და ბესარიონ გამრეკლიძეების საქმე განსახილველად გადაეცა ვანის რაისახალხო სასამართლოს.

„უღიერი თავმჯდომარე"

სოფ. ქოლობნის (აბაშის რაიონი) სტურუას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლ. ახობაძე უხეშად ეპყრობა კოლმეურნეობის წევრებს. ის იმდენად გათავხედდა, რომ სცემა კოლმეურნეობის მოანგარიშეს. სამუშაო დროს სისტემატურად ლოთობაში ატარებს. ჩაშალა კოლმეურნეობაში მოსავლის აღება. მჭიდროდ დაკავშირებული იყო ხალხის მტერ ი. ახობაძესთან და სხვ.—ასე გვწერდა ჩვენი სოფლკორი აბაშის რაიონიდან ნ. ძველაია.

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ამხ. წვერავა გვატყობინებს, რომ ნ. ძველაიას წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, ვლ. ახობაძე მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

„კოლმეურნეობის ქონებას ანიავებენ"

სოფ. ჭალის ამხ. მოლოტოვის სახ. სასოფლო სამეურნეო არტელის გამგეობის თავმჯდომარე ჭიტაძე და ამავე კოლმეურნეობის ფერმის გამგე ვ. ჭიტაძე, ერთხანეთთან შეთანხმებით საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ, კოლმეურნეებში განგებ ჰქმნიან უკმაყოფილებას და კოლმეურნეობა დაღუპვის პირამდის მიყავთო, გვატყობინებდა ჩვენი სოფლკორი ჭიათურის რაიონიდან.

რედაქციამ აღნიშნული კორესპონდენცია გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ჭიათურის რაიმიწგანის გამგეს, რომელიც გვაცნობებს, რომ წერილში აღნიშნული მასალები სიმართლეს შეეფერება, კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით დიანოზ და ვალიკო ჭიტაძეები მოხსნილნი არიან თანამდებობიდან, გარიცხული კოლმეურნეობიდან და მათ პასუხისგებაში მისაცემად საქმე გადაცემული აქვს ჭიათურის რაიპროკურორს.

შ. რუსთაველის იუბილე

წიგნები, გამოფენები, მოხსენებები

ლენინგრადი გაცხოველებით ემზადება უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილესათვის.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა უშვებს „ვეფხის-ტყაოსნის" რუსულ თარგმანს, შესრულებულს პეტრენკოს მიერ. წიგნს დართული ექნება მხატვარ ს. ქობულაძის ილუსტრაციები. გამოცემის რედაქტორია — აკადემიკოსი ი. ორბელი.

გამოცემული იქნება აკადემიკოს ნ. მარის იმ ნაშრომთა სპეციალური კრებული, რომლებიც მიძღვნილია რუსთაველის შემოქმედებისა და მისი ეპოქის საკითხებისადმი. კრებული შეადგინა პროფ. კ. დონდუამ. ამ მასალების ნაწილი პირველად ქვეყნდება აკადემიკოს მარის არქივიდან. ეს არის სხვადასხვა დროს წაკითხული საჯარო ლექციები.

გამოსაცემად მზადდება „შოთა რუსთაველის აფორიზმები" (ქართული ტექსტი და რუსული თარგმანი).

აკადემიკოს ი. ორბელის რედაქციით ქართულ და რუსულ ენებზე გამოდის წიგნი „თქმულებანი შოთა რუსთაველზე". ამ თქმულებებში მკითხველი იპოვის ბიოგრაფიულ მასალებს უდიდეს ქართველ პოეტზე.

გამოდის აგრეთვე „ვეფხის-ტყაოსნის" იმ გამოცემათა სია, რომლებიც ინახება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკისა და ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელთნაწერების განყოფილებებში.

სპორტი

შეჯიბრება ტანვარჯიშობაში

დღეს, 23 დეკემბერს, ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში (სართანიას ქ., 6) იწყება სრულიად-საქართველოს შეჯიბრება ტანვარჯიშობაში. მონაწილეობენ პირველი და მესამე თანრიგის სპორტსმენები და აგრეთვე „მოხუცები".

დასაწყისი დილით—10 საათზე, საღამოთი—6 საათზე.

ლიტერატურული საღამო

23 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) საქართველოს ფილარმონიისა და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანება აწყობს გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ საღამოს.

პროგრამაშია: „ვეფხის - ტყაოსნის" ლიტერატურული კომპოზიცია. ნაწყვეტებს პოემიდან რუსულ ენაზე წაიკითხავს მხატვრული კითხვის ოსტატი — სურენ ქოჩარიანი.

თბილისის ზოოპარკი. — ლევ ბოიკო და მისი მეგობარი ლომი „თეიმურაზი". ფოტო სტოლიაროვისა და რაშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

თბილისი. — პლეხანოვის პროსპექტი. ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

როგორ მოეწყობა არდადეგები

29 დეკემბერს სკოლებში შესწყდება მეცადინეობა და დაიწყება საზამთრო არდადეგები. სტალინური მზრუნველობით გამთბარი ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მოსწავლე ახალგაზრდობა დიდი აღფრთოვანებით ემზადება საზამთრო არდადეგების შესახვედრად, რასაც უკავშირდება ყველა სკოლაში მხიარული საახალწლო ნაძვისხის მოწყობა.

განათლების სახალხო კომისარიატის მითითების თანახმად სკოლებმა ამთავითვე უნდა შეადგინონ პედაგოგიურად მოფიქრებული კონკრეტული გეგმა და დასახონ ღონისძიებანი არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა კულტურული დასვენება-გართობის საქმის სანიმუშოდ მოწყობისათვის.

თვითეული სკოლის სამოქმედო გეგმა უნდა შესდგეს იმ ვარაუდით, რათა არდადეგების პერიოდი გახდეს ფრიადოსნობისათვის ბრძოლის საქმეში სკოლის მიღწევების დემონსტრაციისა და მოსწავლეთა ჯანსაღი გართობა-დასვენების ნამდვილ დღესასწაულად.

არდადეგებისათვის თვითეულმა სკოლამ უნდა მოაწყოს საახალწლო ნაძვისხე. ლიტერატურულ - მხატვრული დილა-საღამოები, სხვადასხვა თამაშობანი, გასეირნებანი და სხვ., სადაც მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს თვით ბავშვთა ინიციატივასა და შემოქმედებას.

საბავშვო თამაშობებისათვის უნდა გამოიყოს რამდენიმე საკლასო ოთახი მათი სათანადო გაფორმებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა კინო-თეატრებით მომსახურებას. საჭიროა კინო-თეატრების ხელმძღვანელებთან წინასწარ მოლაპარაკებით ამ პერიოდისათვის შერჩეულ იქნას სათანადო მხატვრული საბავშვო სურათები და პიესები, რომელთა ჩვენება უმთავრესად უნდა მოეწყოს დღის საათებში.

არდადეგების დროს სკოლებში, კინო-თეატრებში და საერთოდ იქ, სადაც განზრახული იქნება ბავშვთა შეკრება, უნდა დაწესდეს სისტემატური მორიგეობა მასწავლებლების, ექიმების, მშობლების და სკოლის კომკავშირული და პიონერორგანიზაციების წარმომადგენლებისა, რომელთაც დაევალებათ ფხიზელი მეთვალყურეობა როგორც ბავშვთა ქცევაზე, ისე ამათუიმ სახის გართობა-დასვენების ნორმალურად და წესიერად ჩატარებაზე.

არდადეგების დამლევს (2—3 დღით ადრე) სკოლის მთელი შენობა უნდა დასუფთავდეს, საკლასო ოთახებს დეზინფექცია გაუკეთდეს და საერთოდ მთელი სკოლა წესრიგში იქნას მოყვანილი იმ ვარაუდით, რომ სწავლის განახლების პირველი დღიდანვე მოსწავლე ახალგაზრდობა მხიარულად, ენერგიულად, ახალი ძალღონითა და ენტუზიაზმით შეუდგეს ნორმალურ მუშაობას.

შემნახველი სალაროების რევიზია

მოსკოვიდან ჩამოვიდა სახშემსალაროებისა და სახკრედიტის მთავარსამმართველოს რევიზორთა ბრიგადა. ბრიგადა ჩაატარებს საქართველოს სახშემსალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს რევიზიას და გამოიკვლევს ცალკე სარაიონო შემნახველი სალაროების მუშაობას.

რევიზორთა ბრიგადა ღებულობს მშრომელთაგან განცხადებებს და საჩივრებს შემნახველი სალაროების არაწესიერი მუშაობის შესახებ.

ხელოვნება

„მოჩვენებანი"

თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულმა სანიტარული კულტურის თეატრმა რესპ. დამს. არტ. ვ. ნინიძის ხელმძღვანელობით მოამზადა ჰენრიკ იბსენის პიესა „მოჩვენებანი".

19 დეკემბერს შესდგა სპექტაკლის საზოგადოებრივი განხილვა, რომელსაც დაესწრნენ მწერლები, დრამატურგები, კრიტიკოსები, თბილისის თეატრების მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და იმ მსხვილ საწარმოთა წარმომადგენლები, რომლებსაც თეატრი მომსახურებას უწევს.

სპექტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. „მოჩვენებანი" თეატრის ერთიერთ საუკეთესო მიღწევად იქნა ცნობილი.

ამ პიესის დადგმა სანიტარული კულტურის თეატრში საინტერესოა მით უმეტეს, რომ მთავარ როლს ასრულებს ქართული სცენის ცნობილი ოსტატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე.

ნ. ჩხეიძის გარდა სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ნ. ხორავა, ა. შანშიაშვილი, გ. პავლიაშვილი, ც. მეძმარიაშვილი.

„მოჩვენებანი" დადგმულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ორდენოსან რეჟისორის შ. აღსაბაძის მიერ, მხატვარი—დ. კვირიკაშვილი, მუსიკა ხონკრისა.

პრემიერა დღეს 23 და 24 დეკემბერს.

ახალი ამბები

— **ნ. მარის** სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ. № 3) 23 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება ინსტიტუტის ღია სხდომა, რომელზედაც დოც. გ. წერეთელი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „არაბისტთა მეორე საკავშირო ყრილობის შედეგები".

— **24 დეკემბერს**, დილის 11 საათზე, შესდგება საქ. გეოგრაფიული საზოგადოების წევრთა საერთო კრება (კეცხოველის ქ. 11). განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. საზოგადოების ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

— **23 დეკემბერს**, საღამოს 8 საათზე ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ., 16) დანიშნულია საქ. ექიმთა საზოგადოების მორიგი პლენარული სხდომა. დღის წესრიგშია პროფ. ს. კანდელაკის, დოც. ბ. ოქროპირიძის, ნ. კამალოვისა და ნ. ჭეიშვილის მოხსენებანი.

„პირისპირ"

პიესა „პირისპირ" დაწერილია ძმების ტურებისა და [illegible] მიმდინარე სეზონში მისი დადგმა განახორციელა თბილისის სა[illegible] სტუდენტთა [illegible] თეატრმა რეჟისორ გ. ლომაიას ხელმძღვანელობით.

„პირისპირ" აქტუალური პიესაა. მასში ასახულია გაცოფებული ფაშიზმისა და მისი ერთგული დამცველის — გერმანიის გესტაპოს შავბნელი ზრახვები. პიესაში ნაჩვენებია საბჭოთა დაზვერვის მაღალი დონე, მისი სიფხიზლე. კარგად არის ხაზგასმული, რომ შინსახკომის ორგანოების სახელოვანი მუშაკები ფხიზლად იცავენ რევოლუციის მონაპოვარს და მშრომელი ხალხის საამურ ცხოვრებას. მათთვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ისინი ყოველთვის თავისი მოწოდების სიმაღლეზე დგანან და შეუბრალებლად ამჟღავნებენ საბჭოთა ხალხის მტრებს. მათ გვერდში უდგას ყველა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე.

უნდა აღინიშნოს, რომ პიესა ახალგაზრდა თეატრის კოლექტივმა კარგად განახორციელა. მისასალმებელია რეჟისორ გ. ლომაიას ენერგიული მუშაობა.

მოწოდების სიმაღლეზე დგანან შემსრულებლებიც: დ. ცხაკაია (გამომძიებელი ლარცევი), გ. ქველიძე (მესაზღვრე კოლმეურნე), ს. წერეთელი (ჯაშუში კელერი), შ. საბანიძე (ლავრიკი), ი. გედევანიშვილი (მკერავი), ნ. ნახუცრიშვილი, ა. უგულავა და სხვ. მათ გამოკვეთილი და დამაჯერებელი სახეები შექმნეს. მათი თამაშიდან სჩანს, რომ ეს ახალგაზრდა მსახიობები მალე ამოუდგებიან გვერდში პროფესიონალ აქტიორებს.

საერთოდ ამ პიესის დადგმით თეატრის კოლექტივმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ სასცენო ოსტატობის დაუფლების საქმეში.

ნ. კევლიშვილი

შემთხვევები

— **ქვითრების გადაკეთება.** „თბილვაჭრობის" № 128 მაღაზიაში (პუშკინის ქუჩა № 13) ქვითრების გადაკეთებისათვის მილიციის მე-9 განყოფილებამ შეიპყრო გ. ა. კარაპეტიანი (მამაცაშვილის ქუჩა № 7), ე. ა. ილინი და ვ. ვ. გერპინი. შეპყრობის დროს მათ აღმოაჩნდათ რამდენიმე გადაკეთებული ქვითარი.

— **გაუფრთხილებელი სვლა.** კალინინის ქუჩაზე ავტომანქანა № 34—90, რომელსაც მართავდა შოფერი გ. ს. კარაპეტოვი, დაეჯახა ქუჩაზე გადამსვლელ 13 წლის ბიჭს ტ. შალუაშვილს. შალუაშვილი საავადმყოფოში მოათავსეს. სწარმოებს გამოძიება.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში სთხოვს კარო ხაჩატურიანს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. სტეფანოვთან (ოთახი № 12, ძერჟინსკის ქ. № 8).

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში სთხოვს სერგო სარდიონის-ძე გამყრელიძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. ქვათაძესთან (პირველი სართული, ოთახი № 7, ძერჟინსკის ქ. № 8).

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში სთხოვს ალექსანდრე პლატონის-ძე ჩარგეიშვილს და ივანე ნიკოლოზის-ძე თუშურაშვილს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ქვათაძესთან (პირველი სართული, ოთახი № 7, ძერჟინსკის ქ. № 8).

○

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 1513873, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მიერ დომენტი ჯამულის-ძე ვასაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

23 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში რაიონის აგიტატორთათვის შესდგება ჯგუფური კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: „სსრკ — მშვიდობიანობის დასაყრდენი, ყველა ქვეყნების მშრომელთა და ჩაგრულთა სამშობლო".

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. ამსრულებელი
ქ. შეროზია

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 23 დეკემბერს
ახალი პროგრამა
არტ. კისი და გენია—ბუფონადური კლოუნადა, არტ. დაშევსკები საჰაერო ნომერი, დიმიტრიევები—ეკვილიბრისტები, ბორკისები კომიკური ჟონგლიორები.
დასაწყ. 8 ს. 30 წ.
სალარო 12—2 ს. და 5 საათიდან.
24 დეკ. ორი წარმოდგენა დღისით.
ამ დღეებში ლილიპუტების კინო-ჯაზი.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	დიდი ხმ. მხატვრ. ფილმი ლენინი ოქტომბერში დასაწყ. 6-40
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ხმოვანი ფილმი პ ე პ ო დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	დიდი ხმოვ. მხატვრ. ფილმი ლენინი ოქტომბერში დასაწყ. 6 ს.
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი ფილმი კ ა რ ო დასაწყ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ხმოვ. კომედია ქალიშვილი პაემანზე მიიჩქარის დასაწყ. 6-30
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	ხმოვ. ფილმი უ ფ ი ფ ა რ ნ ი დასაწყისი 6-30
ა რ ს ე ნ ა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი ოქროს ტაიგა დასაწყ. 6-30
ახალი ამბები	ხმოვანი კინო-ნარკვევი მოსკოვი დასაწ. 6-30

ა. დ. ქლენჩი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1938 წლის 5 იანვარს მოსკოვში, გზათა სახალხო კომისარიატთან მოწვეულია სსრ კავშირის რკინიგზების წარმომადგენელთა თათბირი—15 მაისიდან 1938/39 წლისათვის სამგზავრო მატარებლების განრიგების შესამუშავებლად.

ითვალისწინებს რა ახლანდელ და წარსული წლების გამოცდილებას, როდესაც განრიგების მოქმედებაში შესვლისთანავე ადგილობრივი საბჭოთა, პარტიული და პროფესიული ორგანოებისაგან, საზოგადოებრივი, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებისაგან, კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და ცალკეული მოქალაქეებისაგან შემოდიოდა განცხადებები განრიგების შეცვლის შესახებ, ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველო, მსგავსი შემთხვევების მომავალში თავიდან აცილების მიზნით, სთხოვს ყველას, ვინც დაინტერესებულია განრიგებით, შეიტანოს სამგზავრო სამსახურში (ოთახი № 105) არა უგვიანეს ა/წ. 27 დეკემბრისა თავისი წინადადება-სურვილები სამგზავრო მიმოსვლის გაუმჯობესებისათვის ახალი განრიგებით, რომელიც შემოღებული იქნება 1938 წლის 15 მაისიდან. რათა საკმაოდ და სრულად უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მოხერხებული კავშირი ქალაქებთან, აგრეთვე კულტურულ და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებთან, ამასთან მხედველობიდან არ იქნას გაშვებული მშრომელი მოსახლეობის საჭიროებანი.

შეკრებილი მასალა განხილული იქნება ადგილობრივ, ყველა შემოტანილ წინადადება-სურვილს ჯეროვანი ყურადღება დაეთმობა და მიღებული იქნება ზომები მათი დაკმაყოფილებისათვის არსებული შესაძლებლობის ფარგლებში.

ამასთან ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველო აცხადებს, რომ შემდეგში, თათბირის მუშაობის დამთავრებისა და განრიგების მოქმედებაში შესვლის შემდეგ, მასში არავითარი შესწორება ან ცვლილება, განსაკუთრებით პირდაპირ მიმოსვლაში, **დაშვებული არ იქნება.**

150 **ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველო.**

თანახმად ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს პრეზიდიუმის 1937 წლის 17 დეკემბრის დადგენილებისა, ამავე საბჭოს საამშენებლო-სარემონტო კანტორა **ლიკვიდირებულია.**

ყველა პრეტენზიები წარმოდგენილ უნდა იქნას სარემონტო კანტორის ლიკვიდკომში (ლენინის ქ. № 14) 1938 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები განხილული არ იქნება.

17514 **სალიკვიდაციო კომისია.**

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელი
კ უ რ ს ე ბ ი
ხსნის ახალ ჯგუფს.
პირობების გაგება ორჯონიკიძის ქ. № 49, მე-26 სკოლა, მეორე სართული. 17508

მშობლები ვალია და გუგული ოდიშარიები, მამიდები: ელენე, მაშა, ნადია, თამარ, გოგუცა, ბიძია გერასიმე მახარაძე მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარი პატარა
თამაზიკო ოდიშარიას
დაკარგვას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა 24 დეკემბერს 11 საათზე. ბელინსკის ქ. № 2.

მეორე ხუთწლედის სესხის
(მეოთხე წლის გამოშვება)
ხელისმომწერთა საყურადღებოდ

მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციები, რომლებიც ხელისმომწერთ მუშაობის ადგილზე არ მიუღიათ, საწარმოთა და დაწესებულებათა ბუხჰალტერიის, აგრეთვე სასოფლო საბჭოების მიერ ჩაბარებულია შემნახველ სალაროებში გაუპირო ნებული სახით, ე. ი. ამ ობლიგაციების ნომრები მიმაგრებული არ არის ხელისმომწერლებზე.

ამიტომ ხელისმომწერლები, ვიდრე ხელზე არ მიიღებენ ობლიგაციებს, არ მონაწილეობენ სესხის მოგებათა მორიგ ტირაჟებში.

მოქალაქეებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს მეორე ხუთწლედის სესხს (მეოთხე წლის გამოშვება) და ხელისმოწერის ადგილზე ობლიგაციები არ მიუღიათ, უნდა მიიღონ ისინი ცენტრალურ ან რაიონულ შემნახველ სალაროებში. მუშებმა და მოსამსახურეებმა ობლიგაციების მისაღებად უნდა წარადგინონ საწარმოს ან დაწესებულების ბუხჰალტერიის ცნობა სესხზე ხელმოწერის გადახდილ შესატანთა ჯამის შესახებ.

კოლმეურნეები და ერთპიროვნული გლეხები ობლიგაციების მიღებისას წარადგენენ სესხის საანგარიშო ქვითარს, რომელიც მათ ხელზე აქვთ.

შემნახველ სალაროებში მეორე ხუთწლედის სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) ხელმოწერით ობლიგაციების მიღების **უკანასკნელი ვადაა 1938 წლის 1 იანვარი**

70 **სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროთა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველო.**

სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 354 მუხ. თანახმად, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი **შალვა ტყავაძე** ამით აცხადებს, რომ ა. წ. 26 დეკემბერს, დღის 1 საათზე, თბილისში, ყიზლარის ქუჩაზე № 11 სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ამხ-ბა „აგურსარმოების"
ქონებას: ოთხმოცდაექვსი ათას ცალ აგურს. ქონება შეფასებულია 6.880 მანეთად და გაიყიდება კაზიზბაშევის, სკანდაროვის და სხვ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ორჯ. რაიონის სახ. სასამართლოს მიერ 1937 წ. 29 ოქტომბრის თარიღით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა № 2/4436 და შრომის ინსპექტორის მოწმობებისა.
17513

მისამართი: რედაქციის—თბილისი, რუსთაველის პროსპ № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34 ტელეფონები: სამდივნოსი: 3—?—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო სამეურნეოს — 3—73—40, მუშ. ?ელთა წერილების—3—73—24, პ. მგ. მორიგის—3—26—?, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ლ—15580